

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს
სამეცნიერო ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებათა ვებჟურნალი

საერთაშორისო სამეცნიერო რეცენზირებადი
ჟურნალი

N 7 2024

თბილისი 2024

სარედაქციო კოლეგია

ანა ფირსხალაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით (თავმჯდომარე)

გიორგი ლავთაძე

დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი სასწავლო მიმართულებით

გოდარძი ბუჩაშვილი

დოქტორი, ასოც. პროფესორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით

საშა ფლავინთსი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, bbw Gruppe გენერალური დირექტორი. განათლების კვლევის და ადმინისტრირების ინსტიტუტის დირექტორი. ბერლინისა და ბრანდენბურგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

შოფან შლენდერ

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტის პროფესორი, დოცენტი

ეპარტი კლიანი

ემ. პროფესორი, პოტსდამის უნივერსიტეტი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამფუძნებელი დირექტორი

მარტინ დალი

ლაზარსკის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, დოქტორი, პოლონეთის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული აკრედიტაციის საბჭოს წევრი

ანდრეა აპოლონი

რომის ტორ ვერგატას უნივერსიტეტის პროფესორი

ჯოაჰენ ფრანსკა

პროფესორი, დოქტორი, პოტსდამის უნივერსიტეტის ლექტორი, პოტსდამის უნივერსიტეტთან არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

მარკუს პერბერი

სამართლის დოქტორი, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის, ეკონომიკური სამართლისა და ეკონომიკურ სწავლებათა ინსტიტუტის პროფესორი.

იუსტინა ბოკაიო

დოქტორი, ვროცლავის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ევროპული ინტეგრაციის კვლევების დეპარტამენტი.

ეკატერინე ქარდავა

სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, საჯარო სამსახურის ბიუროს თავმჯდომარე.

ედითორები

სერგო ფელიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

თეა ჯღელი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ბესიკ ლოლაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

გიორგი ციხაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

თენგიზ თაყაიშვილი

გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ლაბა ზივზივაძე

ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტი

პაატა შურღია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

დავით ჩახვაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

რუსუდან ბერიანაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ლარისა კატარია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლევანი დუნდუა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თამარ კაპუთია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნოდარ სარჯველაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

გადონა კიკელია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ინა შანავა

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი დონაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ლია ქურხული

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

თინათინ გაჩარაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ია მახარაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ხათუნა კაჭარავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი აბზიანიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ეკა დარბანიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარინე იორიანაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

ქრისტინე მაჭარაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი SEU

სთივ შილაერი

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი OST

გაბრიელა შილი

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი OST

რუდი მაიერი

აღმოსავლეთ შვეიცარიის უნივერსიტეტი OST

ნია ძირია

პრაქტიკოსი, ექსპერტი

ტექნიკური რედაქტორი:

ანა ცხესლაძე

ISSN 2667-9892

DOI: <https://doi.org/10.51895/VSS>

უკ (udc) 001.5 ს 75

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

რედაქციის აზრი შეიძლება, არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

სარჩევი

გიორგი ღავთაძე, სალომე ქარჩხაძე

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გამოწვევები და პერსპექტივები: აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის კონტექსტი 5

ჰაათა კუბლაშვილი

საქართველოს ევროპეიზაცია: ევროპული საჯარო სამართლის რეცეფცია საქართველოში 18

ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე, მარიამ კუჭავა

საქართველო - ევროპის და აზიის გზაჯვარედინი - მნიშვნელოვანი აქტორი რეგიონალურ ენერგეტიკულ ლანდშაფტში 30

ბექა ფერაძე

ევროინტეგრაცია და შრომის სამართლის რეფორმა საქართველოში, მიღწევები და გამოწვევები 41

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გამოწვევები და პერსპექტივები: აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის კონტექსტი

გიორგი ლავთაძე
დოქტორი, პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალომე ქარჩხაძე
დოქტორანტი
ქუთაისის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

თანამედროვე, სულ უფრო გამძაფრებულ საერთაშორისო კონკურენციითა და მზარდი საფრთხეებით აღსავსე მსოფლიოში, ახალი ძალით აქტიურდება თანამშრომლობითი ხასიათის ურთიერთობების გაღრმავების აუცილებლობა სახელმწიფოებს შორის. მსოფლიო ისტორია სავსეა როგორც მილიტარისტული, ისე პოლიტიკური გაერთიანებების მაგალითებით, რომლებიც იქმნებოდა და იცვლებოდა კონკრეტული ისტორიული ვითარების შესაბამისად.

არანაკლებ მნიშვნელოვანი გაერთიანებები, რომელთა ფორმირებას ეკონომიკური საფუძველი გააჩნია. ამ შემთხვევაში, კოოპერაციის ძირითადი მოტივია სინერგიული ეფექტის მიღება და გლობალური მასშტაბით პოზიციების გამყარება, კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვება, არსებული რესურსებისა და პირობების უფრო სრულად და ეფექტიანად გამოყენება და ა. შ.

კოოპერაციის ახლებურ გააზრებას წარმოადგენს ევროკავშირის მიერ პოლიტიკური ინიციატივის - აღმოსავლეთ პარტნიორობის ამოქმედება, რაც საშუალებას აძლევს ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებს, დაიწყონ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა როგორც წევრ სახელმწიფოებთან, ისე ერთმანეთთან, რაც მათი მომავალი წარმატების ახალ ფორმულად შეიძლება ჩაითვალოს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა არის ევროკავშირის მხრიდან ძალიან დიდი კონტრიბუცია აღმოსავლეთ მეზობელი ქვეყნების სტაბილურობისა და განვითარებისათვის და, იმავდროულად, იგი არის ევროპის უსაფრთხოებისა და გლობალური მიზნების მიღწევის მხარდაჭერის ძალიან კარგი შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, ორივე მხრიდან გადადგმული სწორი ნაბიჯები განაპირობებს მრავალმხრივი დადებითი შედეგების მიღწევას, ყველა მონაწილე მხარისათვის.

აღნიშნული თვალთახედვით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის მხრიდან სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ისეთი განვითარების ხელშეწყობა, როდესაც ისინი გახდებიან საერთაშორისო წესრიგისა და რეგულაციების მხარდამჭერები. სწორედ ეს მიგვაჩნია ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად, რომლითაც უნდა განვითარდეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის (მ. შ. სამხრეთ კავკასიის) ქვეყნებს შორის თანამშრომლობა. შესაბამისად, ეს არის ორმხრივი ინტერესი და ურთიერთსაჭიროება, რაც კარგად უნდა იქნას აღქმული ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ.

საკვანძო სიტყვები: აღმოსავლეთ პარტნიორობა, რეგიონული საერთოები, რეგიონული კოოპერაცია.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში, გამძაფრებულ საერთაშორისო კონკურენციისა და მზარდი საფრთხეები პირობებში, სულ უფრო აქტიური ხდება თანამშრომლობით გაღრმავების აუცილებლობა სახელმწიფოებსა თუ რეგიონებს შორის. მსოფლიო ისტორია სავსეა როგორც მილიტარისტული, ისე პოლიტიკური გაერთიანებების პრეცედენტებით, რომლებიც იქმნებოდა და იცვლებოდა კონკრეტული ისტორიული ვითარების შესაბამისად. მაგალითად, ამერიკის რევოლუციის დროს, ამერიკული კოლონიები, რომლებსაც საფრანგეთი უჭერდა მხარს, იბრძოდნენ ბრიტანეთის წინააღმდეგ. მაგრამ, მე-20 საუკუნის ორივე მსოფლიო ომში, შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გააერთიანეს ძალები გერმანიის წინააღმდეგ. მოგვიანებით, ცივი ომის პერიოდში, ოთხივე სახელმწიფო ერთად იდგა ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ბლოკის ქვეყნების საპირისპიროდ. ამჟამად, რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანებულია და უკრაინას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპამ, დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ, კანადამ და ა.შ. გვინდა გავიხსენოთ უინსტონ ჩერჩილის სიტყვები: „ჩვენ არ გვყავს მუდმივი მეგობრები, არ გვყავს მუდმივი მტრები, გვაქვს მხოლოდ მუდმივი ინტერესები“. სწორედ „ინტერესები“ (ჩამოთვლილ შემთხვევებში, ძირითადად, პოლიტიკური და სამხედრო) განაპირობებენ სახელმწიფოთა დაახლოებასა და დაპირისპირებას.

თანამედროვე ეტაპზე, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებათ გაერთიანებებს, რომელთა ფორმირებას ეკონომიკური საფუძველი გააჩნია. ამ შემთხვევაში, კოოპერაციის ძირითადი მოტივია სინერგიული ეფექტის მიღება და გლობალური მასშტაბით პოზიციების გამყარება, კონკურენციულ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვება, არსებული რესურსებისა და პირობების უფრო სრულად და ეფექტიანად გამოყენება, მიმდინარე გამოწვევების ერთობლივად გამკლავება და ა.შ.

კოოპერაციის ახლებურ გააზრებას წარმოადგენს ევროკავშირის მიერ პოლიტიკური ინიციატივის - აღმოსავლეთ პარტნიორობის ამოქმედება, რაც საშუალებას აძლევს მის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებს, დაიწყონ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, ისე ერთმანეთთან, რაც მათი მომავალი წარმატების ახალ ფორმულად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნული ინიციატივა, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოტივებით და ფარავს პრობლემათა გაცილებით მეტ სპექტრს, როგორებიცაა სოციალური, ადამიანის უფლებათა, ეკოლოგიური და ა.შ.



მსგავსი ხასიათის თანამშრომლობა გვესახება, როგორც ორმხრივად სასარგებლო პროცესი, რომელმაც შედეგად უნდა მოგვცეს უფრო დინამიური, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული, სოციალურ ორიენტირებული, სტაბილური რეგიონები (მაგ.: ევროპა, სამხრეთ კავკასია) და სახელმწიფოები, რომლებიც გაერთიანდებიან არამხოლოდ

ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების, არამედ ღირებულებების, პრინციპების, სამომავლო ხედვებისა და მისწრაფებების ირგვლივ.

გამომდინარე საქართველოს წინაშე მდგომი გამოწვევებისა და ამოცანებისა, წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, კვლევის მიზნად დავისახეთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის არსებული მოცემულობისა და მისი გაღრმავების შესაძლებლობათა ანალიზი, გლობალური, საერთო-რეგიონული და შიდა-სახელმწიფოებრივი მიმართებების გათვალისწინებით და მათზე დაყრდნობით რეკომენდაციების შემუშავება მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების კუთხით. კვლევის მიზანმა განაპირობა სტრუქტურა ნაშრომისა, რომლის ფარგლებში მსჯელობა განვითარდა სამი ძირითადი მიმართულებით: აღმოსავლეთ პარტნიორობის იდეის აღწერა სამხრეთ-კავკასიის რეგიონის კონტექსტში, რეგიონში არსებული თანამედროვე ვითარების ანალიზი, რეკომენდაციების შემუშავება სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით.

1. „აღმოსავლეთ პარტნიორობა“, როგორც ევროკავშირთან დაახლოების გლობალური სტრატეგია და მისი რეგიონული კონტექსტი

აღმოსავლეთ პარტნიორობა¹, როგორც ცნობილია, წარმოადგენს პოლიტიკურ ინიციატივას, რომლის მიზანია ურთიერთობების გაღრმავება და გაძლიერება ევროკავშირის (წევრ სახელმწიფოებს) და მის ექვს აღმოსავლეთ მეზობელს (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) შორის. აქვე დავძენთ, რომ 2021 წლის ივლისში, ბელარუსმა ოფიციალურად დატოვა ინიციატივა. პარტნიორობის გააქტიურებიდან დღემდე, არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა სამყაროში, რამაც არსებითი ზეგავლენა მოახდინა ინიციატივის შინაარსსა და კონკრეტული ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებაზე, რაც აისახა კიდევ თითოეული მათგანის პერსპექტივაზე. განსაკუთრებული ხაზგასმა სჭირდება იმ ფაქტს, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა. პირიქით, მისი მიზანია ხელი შეუწყოს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

ინიციატივის ფარგლებში ხდება, როგორც ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა, ისე კონკრეტული პერსპექტივების შეთავაზება პარტნიორი ქვეყნებისათვის, ევროკავშირთან სრულყოფილი დაახლოების მიზნით და იგი ორიენტირებულია რეფორმების მხარდაჭერის გზით, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებაზე. აღნიშნულის მიღწევის მიზნით, ვითარდება ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატები. ორმხრივი თანამშრომლობა ორიენტირებულია ფართო პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნაზე, ხოლო მრავალმხრივი თანამშრომლობა უზრუნველყოფს საერთო ინტერესების ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავებასა და არსებული გამოწვევების ერთობლივად დაძლევის შესაძლებლობათა განვითარებას. იგი გულისხმობს რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებას ერთობლივი პროექტების ფორმირებით ისეთ აქტუალურ სფეროებში, როგორებიცაა უსაფრთხოება, მიგრაცია, ვაჭრობა, ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, გარემოს დაცვა და ა. შ.

¹ ევროკომისიამ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკე 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებულია თანამშრომლობის ერთობლივი პრიორიტეტები, რომლებიც შეესაბამებიან ჩვენი დროის გამოწვევებს და ადაპტირებულნი არიან რეგიონის განვითარებაზე. კარგი მმართველობის, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების გარდა, იდენტიფიცირებულია ერთობლივი პრიორიტეტების სამი სხვა ნაკრები, რომელთაგან თითოეული ფარავს თანამშრომლობის სფეროების ფართო რაოდენობას:

- 1) ეკონომიკური განვითარება, სტაბილიზაციის მიზნით;
- 2) უსაფრთხოების განზომილება და
- 3) მიგრაცია და მობილურობა.

ორმხრივი თანამშრომლობა მეზობელი ქვეყნების უმეტესობასთან შედგენილია ერთობლივი დოკუმენტებით (პარტნიორობის პრიორიტეტები, ასოცირების დღის წესრიგი ან სხვა მსგავსი). ისინი გაფორმებულია პარტნიორ ქვეყანას, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის და ადგენს თანამშრომლობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრიორიტეტებს.

ევროკავშირის ურთიერთობებს მის მეზობლებთან წარმართავს მისი გლობალური სტრატეგია², რომელიც სხვა მნიშვნელოვან პრიორიტეტებთან ერთად, მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს რეგიონულ თანამშრომლობაზე. დიდი ყურადღება ეთმობა რეგიონულ კონტექსტს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროექტშიც, რომლის ფარგლებში აკუმულირებული ფულადი რესურსების გამოყენების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა „რეგიონული განვითარების პროგრამები“. მათი მთავარი მიზანია პარტნიორ ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სოციალური განსხვავებების შემცირების მაქსიმალური ხელშეწყობა. ამასთან, აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შეთანხმება განსაკუთრებით უსვამს ხაზს ერთობლივი მფლობელობის (Joint Ownership) პრინციპზე დაფუძნებული თანამშრომლობის მნიშვნელობას, რაც ყველა მონაწილე მხარისათვის პასუხისმგებლობის თანაბარ გადანაწილებას უწყობს ხელს. ასეთ მიდგომას, სახელმწიფოებს (ასევე, სამხრეთ კავკასიაში) შორის თანამშრომლობა სრულიად ახალ დონეზე აპყავს, აქცენტს აკეთებს რა, ძალისხმევის გაერთიანებასა და კოორდინირებულ ქმედებებზე. ტერმინი „რეგიონი“, შეიძლება, აერთიანებდეს როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა შიდა რეგიონებს, ისე ორმხრივ, სუბ-რეგიონულ, რეგიონთაშორის კავშირებსა და იმ გლობალურ მოთამაშეებსაც კი, რომლებიც დაკავშირებულია რეგიონულ (მ.შ. ერთობლივ) ინიციატივებთან.

ევროკავშირის რეგიონული თანამშრომლობა ეფუძნება კონკრეტულ რეგიონულ სტრატეგიებს, როგორცაა, მაგალითად, „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ და „ახალი დღის წესრიგი ხმელთაშუა ზღვისთვის“. რეგიონული თანამშრომლობის სტრატეგიული პრიორიტეტები შემდგომში ასახულია რეგიონულ მრავალწლიან ინდიკატიურ პროგრამებში. რეგიონული თანამშრომლობა ავსებს დახმარების ეროვნულ პროგრამებს, აგვარებს რეგიონულ გამოწვევებს, ხელს უწყობს პარტნიორობს შორის თანამშრომლობას და ა.შ. ევროკავშირი, ასევე, მხარს უჭერს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას (CBC) ევროკავშირის ქვეყნებსა და მეზობელ ქვეყნებს შორის, რომლებიც იზიარებენ სახმელეთო ან საზღვაო საზღვრებს. ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ასევე მოიცავს ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას უფრო დიდ ტრანსნაციონალურ ტერიტორიებზე ან ზღვის აუზების ირგვლივ და რეგიონთაშორის თანამშრომლობას. CBC პროგრამების მიზანია ევროკავშირის საგარეო საზღვრების გასწვრივ მდგრადი განვითარების

² Shared Vision, Common Action: A Stronger Europe, A Global Strategy for the European Union's Foreign And Security Policy, available at: https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/eugs_review_web_0.pdf [უ.გ. 14.03.2024].

მხარდაჭერა, ცხოვრების სტანდარტების განსხვავებების შემცირება და საერთო გამოწვევების მოგვარება ამ საზღვრებს გარეთ.

ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და ჩვენთან უკვე გაფორმებულია „ასოცირების შეთანხმება“, „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება“, „სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ ხელშეკრულება“. მართალია, ამ მხრივ, საქართველომ მეტ პროგრესს მიაღწია სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ ამჟამად არსებული ვითარება დამშვიდების საშუალებას ნამდვილად არ იძლევა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან შემდგომი ინტეგრირება, ჯერ კიდევ, არაერთი გამოწვევის წინაშე დგას.

მართალია, სამხრეთ კავკასიის დანარჩენი სახელმწიფოები ჯერ შორს არიან ანალოგიური შედეგისაგან, მაგრამ მსოფლიო გეო-პოლიტიკური მოცემულობის ცვლილებისა და ჩვენს რეგიონში რუსეთის გავლენების შემცირების კვალობაზე, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების შემდგომი დაჩქარება, სავსებით რეალურ პროცესად გვესახება.

2. თანამედროვე ეკონომიკური ალიანსები და სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები

თანამედროვე მსოფლიოში შექმნილი ვითარება (გლობალიზაცია, განგრძობადი კრიზისული ვითარებები, ახალი მსოფლიო წესრიგი და სხვ.) მნიშვნელოვნად განაპირობებს სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას და სხვადასხვა გაერთიანებების ფორმირებას. რა თქმა უნდა, ეს პროცესი არ არის დამახასიათებელი მხოლოდ თანამედროვეობისათვის და მას საუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ზოგადად, ეკონომიკური ალიანსები გულისხმობს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას ფულადი და სხვა რესურსების, ეროვნული სიმდიდრის ოპტიმალურად გამოყენებისა და სხვა სფეროებში. თუმცა, თანამედროვე ეტაპზე, ეკონომიკური გლობალიზაციისა და ფინანსური ინტეგრაციის გაღრმავების, ქვეყნებისა თუ რეგიონების ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების ზრდის შედეგად, ეკონომიკურმა ალიანსებმა თვისობრივი ცვლილება განიცადეს და შეიძლება ითქვას, რომ განვითარების ახალ დონეზე გადავიდნენ.

ეკონომიკური ალიანსის შესანიშნავი მაგალითია NAFTA (ჩრდილო ატლანტიკური თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება), რომელმაც გააუქმა მრავალი ტარიფი მექსიკას, კანადასა და შეერთებულ შტატებს შორის. ეკონომიკური ალიანსის კიდევ ერთი კარგი მაგალითია ევროკავშირი - ევროპული ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც შეთანხმდნენ ევროს ოფიციალურ ვალუტად აღიარებაზე, საბაჟო საზღვრების გაერთიანებაზე, ფინანსური ბაზრების ურთიერთ დაახლოებაზე და ა.შ.

ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები, ძირითადად, განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს ახალგაზრდა და განვითარებად სახელმწიფოებს შორის. მაგალითად, შეიძლება გავიხსენოთ: ბენილუქსი, ინტეგრაციის ლათინურ-ამერიკული ასოციაცია, ცენტრალურ-ამერიკული საერთო ბაზარი, კარიბის გაერთიანება, დასავლეთ აფრიკის ეკონომიკური გაერთიანება, სუამი და სხვა.

თანამშრომლობის პოზიტიური შედეგები, განსაკუთრებული სიცხადით, წარმოჩნდება ხოლმე კრიზისების დროს და გაერთიანებებს, მჭიდრო თანამშრომლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება როგორც მსოფლიო, ისე რეგიონულ დონეზე. ეკონომიკური

თანამშრომლობისა და ალიანსების ფორმირების მხრივ მსოფლიოში დაგროვებული გამოცდილება და მიღწეული შედეგები გვაფიქრებინებს, რომ მიზანშეწონილია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებმა სრულყოფილად შეისწავლონ მსოფლიო გამოცდილება და იფიქრონ ერთმანეთთან მომავალ მჭიდრო ეკონომიკურ დაახლოებაზე.³

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარებული მოვლენების საფუძველზე, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიო ახალი გლობალური წესრიგის დამყარების ეპოქაშია შესული. შესაბამისად, საქართველოს მსგავს ქვეყნებს საკუთარი საგარეო თუ შიდა ეკონომიკური ხედვების გადასინჯვა და მიმდინარე ცვლილებებსა თუ ახალ შესაძლებლობებზე უსწრაფესი რეაგირება მართებთ. აქვე დავძენთ, რომ ამ მასშტაბის საკითხისადმი აუცილებელია კომპლექსური მიდგომა, რაც პარტნიორი და მეგობარი ქვეყნების შესაძლებლობების გამოყენებასა და საერთაშორისო ბაზრებზე შესვლისთვის რეგიონული თანამშრომლობის გააქტიურებას უნდა გულისხმობდეს. ეს იმიტომ, რომ უმეტეს შემთხვევებში, სწორედ საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა გვევლინება პრობლემათა დაძლევის გარანტიად, რადგან დამოუკიდებლად ქვეყნები, შედარებით მძიმედ უმკლავდებიან იმ გამოწვევებს, რომელთა პროგნოზირება და, შესაბამისად, პრევენცირება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ მსგავსი მიდგომების გამოყენება აუცილებელია, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს ახლო მომავალში. მითუმეტეს, რომ რეგიონში რუსეთის ზეგავლენის შემცირების კვალობაზე, სულ უფრო აშკარა ხდება სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების (განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს შორის) საერთო-ევროპული მისწრაფებები. შორს არაა ის დრო, როდესაც საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, გააღრმავებენ მცდელობებს ეკონომიკური ურთიერთ დაახლოებისა და გლობალურ გამოწვევათა ერთობლივი დაძლევის გზების ძიების მიმართულებით, რაშიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივას არსებითი როლის შესრულება შეუძლია. შესაბამისად, ამ პროცესის კვლევა და ანალიზი სულ უფრო მეტი მნიშვნელობის მატარებელი ხდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წინაშე მდგომი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ვთვლით, რეგიონული მასშტაბით კოოპერაციის შესაძლებლობებისა და ძირითადი მიმართულებების ძიებას, მიმდინარე კრიზისების დაძლევისა და გლობალურ კონკურენციაში წარმატების მიღწევის მიზნით.

3. „რეგიონული საერთოები“ – რეგიონული თანამშრომლობის შესაძლო ახალი მიმართულება

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში (და არამარტო), სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივებზე მსჯელობის დროს, შესაძლებელია გავააქტიუროთ ე.წ. „გლობალური საერთოების“ საკითხიც. სწრაფი ეკონომიკური განვითარების, მზარდი საერთაშორისო ვაჭრობისა და მომრავლებული სხვადასხვა სახის კრიზისების შედეგად, იქმნება უფრო ქაოტური საერთაშორისო სივრცე და ჩნდება ახალი გამოწვევები. განსაკუთრებით, ეს ითქმის ისეთ საკითხებზე, რომლებიც საერთო საკაცობრიო ხასიათს ატარებს და ვერ შემოიფარგლება რომელიმე ერთი ქვეყნის, ან ქვეყანათა ჯგუფის მასშტაბით. ასეთებად მოიაზრება ე.წ. „გლობალური საერთოები“ – ის სფეროები, რომლებიც არ არიან რომელიმე სახელმწიფოს კონტროლის ან იურისდიქციის

³ ღვთაძე, გ., ადგილობრივი ბიუჯეტების როლი სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის გატარებაში, მონოგრაფია, ქუთაისი. 1999.

ქვეშ, მაგრამ ღია ქვეყნების, კომპანიებისა და ფიზიკური პირების გამოყენებისთვის, მთელი მსოფლიოდან.

საერთაშორისო მასშტაბით, მათი მართვა უკავშირდება სულ უფრო რთულ პროცესებს სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესების, პასუხისმგებლობების დაკმაყოფილებისა და მათი ძალისხმევის გაერთიანების თვალსაზრისით. მართვის პროცესი ეფექტიანია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სათანადო რეგულაციები, სავალდებულო ხელშეკრულებები, ინსტიტუციონალიზებული მმართველი ორგანოები და აღსრულების რეალური მექანიზმები. უკანასკნელი ათწლეულის გამოცდილებას თუ დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ იმ გამოწვევებისთვის, რომლებსაც გაეროს სამართლებრივი ჩარჩოები არ ფარავს (მაგალითად, ჰაერისა და ზღვების დაბინძურება) სულ უფრო მეტი დაინტერესებული მხარე იბრძვის ამ გლობალური საერთოების დასაცავად. ასეთებად შეიძლება მოვიაროთ როგორც ლიდერი სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, ისე ცალკეული აქტივისტები და მოხალისეები.

მართალია, მსგავსი ინტერესები და აქტივობები დინამიურად მზარდია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ცდილობენ გლობალურად შეთანხმებული თამაშის წესებისა და მმართველობის არსებული მიდგომების არსებით ცვლილებას ან დარღვევას. არაერთი ავტორი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მათ არც გააჩნიათ დეკლარირებული ინტერესი და მეტიც, არ შესწევთ ძალა, რათა „დაარღვიონ თანამედროვე ლიბერალურ საერთაშორისო წესრიგში საერთო მენეჯმენტის მიმართ არსებული მიდგომები.“⁴ თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროცესში ჩართული მხარეების მზარდი სპექტრისა, მრავალჯერადი და კონკურენტული ინტერესები, რომლებსაც არ სურთ საკუთარ თავზე აიღონ საერთო სიკეთეების დაცვასთან დაკავშირებული ხარჯები, ალბათ, კვლავაც გააგრძელებენ მცდელობებს, რათა ზეგავლენა მოახდინონ მენეჯმენტის ძალისხმევაზე, საკუთარი ინტერესების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, სტაბილურობის შენარჩუნებისათვის, საჭირო ხდება გლობალურად მართული მსგავსი პროცესების განვითარებაში უფრო გამოკვეთილი ადგილი დაიკაონ რეგიონულმა მოთამაშეებმა, რომელთა ინტერესი და ზეგავლენა შესაბამისი ტერიტორიის მიმართ გაცილებით მეტია, ვიდრე სხვა დაინტერესებული მხარისა. მითუმეტეს, რომ აღნიშნულის მაგალითები უკვე არსებობს, თუნდაც ევროკავშირის და მის მიერ გატარებული პოლიტიკის სახით.

ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების, განსაკუთრებით კი, სამხრეთ კავკასიის (როგორც ურთიერთდაკავშირებული და კომპაქტური რეგიონის) მიმართება აღნიშნული საკითხისადმი, შემდეგნაირად შეიძლება აიხსნას: გლობალური საერთოების მართვის მსოფლიო სისტემაში აშშ-ს წამყვანი ადგილი უჭირავს, რომლის უშუალო დამსახურებაა არაერთი საერთაშორისო მნიშვნელობის ინსტიტუციის შექმნა ამ მიმართულებით (ITLOS⁵, ICAO⁶, ITU⁷). შესაბამისად, მას აქვს ჯანსაღი ამბიცია იყოს დამოუკიდებელი, უნიკალური ლიდერი ამ სფეროში, რაც ნიშნავს, რომ ის არ დათმობს საკუთარ პოზიციებს, თუნდაც, საერთაშორისო გაერთიანებების სასარგებლოდ. გამომდინარე აქედან, ნებისმიერი მრავალმხრივი შეთანხმებისათვის ნახშირბადის ემისიის, ზღვების დაბინძურების, კოსმოსური ნარჩენების მართვასა და სხვა საკითხებში, რომლებიც არ რეგულირდებიან საერთაშორისო შეთანხმებებით, შეიძლება საჭირო გახდეს

⁴ Gerald, Stang, Global commons: Between cooperation and competition, European Union Institute for Security Studies (EUISS), 2013.

⁵ ITLOS - International Tribunal for Law of the Sea.

⁶ ICAO - International Civil Aviation Organization.

⁷ ITU - International Telecommunication Union.

დამატებითი ინიციატივები და ჩართულობა, როგორც ევროკავშირის, ისე განვითარებადი ქვეყნების თუ ქვეყანათა ჯგუფების მხრიდან.

ევროკავშირი ინარჩუნებს შემაკავშირებლის ფუნქციას და იმპულსს აძლევს ინსტიტუტების მშენებლობას, ნორმატიული ბაზის გაძლიერებასა და სრულყოფას. აღნიშნულმა, შეიძლება, გამოიწვიოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაწყვეტენ ევროკავშირთან დაახლოებას და, მითუმეტეს, გაწევრიანებას) მიერ მათი სტრატეგიების, მიზნებისა და ინტერესების გადახედვა, ხელახალი გააზრება.

დავძენთ აქვე, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონები სწრაფად ძლიერდებიან და იმყარებენ პოზიციებს გლობალურ კონტექსტში. შესაბამისად, მომავალში, სულ უფრო გართულდება წესებზე დაფუძნებულ საერთო წესრიგში მათი გაერთიანებისა და საკუთარი წვლილის შეტანის მოტივირება, თუ ეს მათი სურვილი არ იქნება. ევროკავშირს, მართალია, აქვს შეზღუდული ბერკეტები იმისათვის, რომ პირდაპირი ზეგავლენა მოახდინოს მსოფლიოს სხვადასხვა „ძლიერ მოთამაშეებზე“, რათა მათ უზიდავოს ცალკეულ საკითხებში თანამშრომლობაზე, მაგრამ, შეუძლია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ინსტიტუტების და ცალკეული რეგიონების ისეთ განვითარებას, რომ შეზღუდოს არსებული ერთობლივი შეთანხმებების ჩაშლის ნებისმიერი მცდელობა. აღნიშნული მოიცავს.⁸

- ერთი მხრივ, „პასუხისმგებლობის“ ენას, რომელსაც ხშირად იყენებენ დასავლეთის ქვეყნები განვითარებად სახელმწიფოებზე ზეწოლის მიზნით, მრავალმხრივ საკითხებთან დაკავშირებით მიდგომების შესაცვლელად,
- მეორე მხრივ, „უფლებათა“ ენას, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოებისა და ინდივიდების უფლებას საერთო სიკეთეების წვდომასა და დაცვაზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ აქცენტებს გადავიტანთ რეგიონულ დონეზე, მაშინ „გლობალურთან“ ერთად, შეიძლება ვისაუბროთ „რეგიონულ საერთოებზეც“. ფორმულირება, რა თქმა უნდა პრობითია და მიზნად ისახავს რეგიონული თანამშრომლობის არეალის გაფართოებას გლობალური კონტექსტის გათვალისწინებით და ძალისხმევის გაერთიანებას საერთო პრობლემების დაძლევის მიზნით. სამხრეთ კავკასიის რეგიონის მდებარეობის, პოტენციალისა და სამომავლო პერსპექტივების გათვალისწინებით, მსგავსი შიდა რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებებზე, „რეგიონული საერთოების“ მართვის თავსაზრისით, შესაძლოა გამოვყოთ შემდეგი:

- კიბერ სივრცე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა თანამედროვე მსოფლიოსათვის. იგი კავშირშია სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხთან და მნიშვნელოვნად განაპირობებს ეკონომიკურ სტაბილურობას. შესაბამისად, ერთიანი პოლიტიკის ფორმირება, კანონმდებლობის მაქსიმალური დაახლოება, სტანდარტების დანერგვა, მონაცემთა ურთიერთგაცვლა, შეიძლება იყოს ის საკვანძო საკითხები, რა მიმართულებითაც დავიწყებთ თანამშრომლობის გაღრმავებას;
- ციფრული ინფრასტრუქტურა, რომლის გაძლიერების შედეგად, უზრუნველყოფილ უნდა იქნას ინტერნეტზე წვდომის განსხვავებების მაქსიმალური შემცირება, სახელმწიფოთაშორისი ელექტრონული კომერციის შესაძლებლობების გაძლიერებას, ონლაინ განათლების მასშტაბების ზრდას და, ზოგადად, განათლების ხელმისაწვდომობის დონის ამაღლებას და ა.შ;

⁸ Gerald, Stang, Global commons: Between cooperation and competition, European Union Institute for Security Studies (EUISS), 2013.

- მმართველობითი სისტემები, რომლის სრულყოფა და გაძლიერება უნდა მოხდეს საჯარო ადმინისტრირების რეფორმის სულისკვეთების, „კარგი მმართველობის“ იდეის, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. იგი უნდა გულისხმობდეს: საჯარო სერვისების გამრავალფეროვნებას და მაქსიმალურ დაახლოებას, მათ ონლაინ ხელმისაწვდომობას;
- სატრანსპორტო დერეფნის ფუნქცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, რომელიც გააძლიერებს სამხრეთ კავკასიის, როგორც სატრანსპორტო-ლოჯისტიკური ჰაბის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ამ მიზნით, აუცილებელია თანამშრომლობა საზღვრებს შორის სათანადო დოკუმენტებისა და ინფორმაციის მიმოქცევის გამარტივებისა და დაჩქარების, შესაბამისი სისტემების დაახლოების მიმართულებით და ა.შ;

მითუმეტეს, რომ ყოველივე ზემოთქმული, ასახულია EU4Digital⁹ და აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივებში და მათი განვითარება წარმოადგენს მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას.

სახელმწიფოებრივი განვითარების თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ორიენტირებული უნდა იყოს ისეთი გამოწვევების დაძლევაზე, როგორებიცაა:

- რეგიონში მდგრადი, სტაბილური და ინტეგრირებული ეკონომიკის ფორმირება, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა; დასაქმებისა და შრომითი მიგრაციის რეგულირების კუთხით ძალისხმევის გაერთიანება;
- საჯარო ადმინისტრირების რეფორმა და ადგილობრივი თვითმმართველობების მდგრადი ინტეგრირებული განვითარება;
- კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემებისა და გარემოსდაცვითი სისტემების ფორმირება-განვითარების მიმართულებით ძალისხმევის გაერთიანება; ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფათა პრევენცია, მზადყოფნა და ბრძოლა;
- სამართლებრივი, დემოკრატიული, სოციალური სახელმწიფოს მშენებლობა და ინკლუზიური საზოგადოების ფორმირება;
- უმაღლესი განათლებისა და კვლევითი პოტენციალის შემდგომი გაძლიერება, სოლიდარული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა;
- ენერგო სისტემების გაძლიერება, ენერგო ეფექტიანობის ამაღლება და რუსეთზე ენერგო დამოკიდებულების მაქსიმალური შეზღუდვა, ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების ინტენსივობის ამაღლება;
- საზღვრების ინტეგრირებული მართვა და ა.შ.¹⁰

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებაში წარმატების მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული მსგავსი მაგალითების განხილვასა და კარგად გააზრებაზე. ამ მხრივ, ერთ-ერთი საუკეთესოდ შეიძლება ჩაითვალოს ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის არსებული მოდელები, რომელიც არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა ავტორების (მ.შ. ჩვენს) მიერ. ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ხედვები მიმართული უნდა იყოს სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ერთიანი ეკონომიკის მოდელის ფორმირებისაკენ. ამით შესაძლებელი გახდება, რომ ჩვენს რეგიონში შეიქმნას ინტეგრირებული ეკონომიკური ზონა, სადაც იარსებებენ საერთო

⁹ უფრო ვრცლად: <https://eufordigital.eu/geo/discover-eu/the-eu4digital-initiative/> [უ.გ. 14.03.2024].

¹⁰ ხელმისაწვდომია: <https://www.consileum.europa.eu/media/53527/20211215-eap-joint-declaration-en.pdf> [უ. გ. 14.03.2024].

ფაქტორები და კავშირები, თუმცა უზრუნველყოფილი იქნება სათანადო სივრცე თითოეული მონაწილე მხარის ინდივიდუალურობის შენარჩუნებისათვის, ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში შემდგომი ინტეგრირების პერსპექტივების გათვალისწინებით.

„რეგიონული საერთოების“ მართვაში თანამშრომლობა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია განვიხილოთ „რეგიონულ ღირებულებათა ჯაჭვების“, როგორც ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის, საკითხთან მჭიდრო კავშირში. ცნობილია, რომ გლობალური და რეგიონული ღირებულების ჯაჭვები (GRVC)¹¹ განაპირობებენ საერთაშორისო ვაჭრობის, ზრდას 1990 წლის შემდეგ, და ახლა მთელი ვაჭრობის თითქმის ნახევარს შეადგენენ.

აღნიშნულმა პროცესმა გამოიწვია უპრეცედენტო ეკონომიკური კონვერგენცია - ღარიბმა ქვეყნებმა დაიწყეს უფრო სწრაფად ზრდა და მდიდარ ქვეყნებთან დაახლოება. თუმცა, 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის, პანდემიის შემდეგ და ახლა რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში, ვაჭრობის ზრდა შენედა და GRVC-ების გაფართოება შეჩერდა.

ჩამოთვლილი პრობლემებიდან გამომდინარე, უკვე თითქმის ოცი წელია, რაც სერიოზული საფრთხეები ექმნება ვაჭრობაზე დაფუძნებული ზრდის მოდელსაც, რის მიზეზად შეიძლება მოვიაზროთ შემდეგი:

- ახალი ტექნოლოგიები უფრო აახლოებს წარმოებას მომხმარებელთან და, შეიძლება, შრომით რესურსზე მოთხოვნა შეამციროს;
- დიდ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებმა, შეიძლება გამოიწვიოს GRVC-ების შემცირება და/ან სეგმენტაცია;
- შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო შევიდა ახალი გლობალური წესრიგის დამყარების ეპოქაში, რაც არსებითად ზრდის გაურკვევლობას და არაპროგნოზირებადს ხდის მომავლის პერსპექტივებს;

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, მსოფლიო ბანკის „მსოფლიო განვითარების ანგარიში 2020“, აღნიშნული იყო შემდეგი: პარადიგმა - „ვაჭრობა განვითარებისთვის“, გლობალური ღირებულების ჯაჭვების ეპოქაში, განიხილავს საკითხს: განვითარების გზა ისევ გადის თუ არა ვაჭრობასა და GRVC-ებზე. იგი ასკვნის, რომ ტექნოლოგიური ცვლილებები, ამ ეტაპზე, უფრო სიკეთეს, ვიდრე პრობლემას და GRVC-ებს შეუძლიათ გააგრძელონ ზრდის სტიმულირება, შექმნან უკეთესი და მეტი სამუშაო ადგილი და შეამცირონ სიღარიბე იმ პირობით, რომ განვითარებადი ქვეყნები განახორციელებენ უფრო ღრმა რეფორმებს აღნიშნული „ჯაჭვებში“ მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, ხოლო ინდუსტრიული ქვეყნები განახორციელებენ ღია, პროგნოზირებად პოლიტიკას და ყველა ქვეყანა აღადგენს, განავითარებს მრავალმხრივ თანამშრომლობას.¹² აქ აღნიშნული ბოლო ორი პირობა, სრულად შეესაბამება აღმოსავლეთ პარტნიორობის იდეასა და სულისკვეთებას.

¹¹ GRVC – Global and Regional Value Chains. ხშირად, წყაროებში მხოლოდ GVC გამოიყენება, მაგრამ წინამდებარე სტატიის მიზნებიდან გამომდინარე საკითხს „რეგიონული“ მდგენელის გათვალისწინებით ვიხილავთ.

¹² Trading and Development in the Age of Global Value Chains, World Development Report 2020, <https://www.worldbank.org/en/publication/wdr2020> [უ.გ. 14.03.2024].

ანალოგიური მდგომარეობა უცხო არ არის არც ევროპის, აზიის თუ სამხრეთ ამერიკის მცირე და განვითარებადი ქვეყნებისათვის. ამიტომ, ჩვენთან არსებული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილია მათი გამოცდილების გაცნობა, გაზიარება და გამოყენება, ისევე როგორც ამას აღნიშნავდით ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მაგალითებთან დაკავშირებით.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, გარდა ეკონომიკურისა, საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური მოვლენებიც განაპირობებენ. ამ ქვეყნებში მიმდინარე პროცესები საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივია და მათზე მოქმედებს ბევრი, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი ფაქტორი. ამ მხრივ, აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ მიმდინარე ეტაპზე, რეგიონში რუსეთის ზეგავლენების შემცირება, მნიშვნელოვან დადებითად მოქმედებს საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობების გაფართოებასა და მათი სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაზე, მითუმეტეს, რომ ამის წინაპირობები (პოლიტიკის სფეროში) უკვე იკვეთება.

აღნიშნული თვალთახედვით, საერთაშორისო ინსტიტუტების დახმარების გაძლიერების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ევროკავშირის მხრიდან სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ისეთი განვითარების ხელშეწყობა, როდესაც ისინი გახდებიან საერთაშორისო წესრიგისა და რეგულაციების მხარდამჭერები. სწორედ ეს მიგვაჩნია ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად, რომლითაც უნდა განვითარდეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის (მ.შ. სამხრეთ კავკასიის) ქვეყნებს შორის თანამშრომლობა. შესაბამისად, ეს არის ორმხრივი ინტერესი და ურთიერთსაჭიროება, რაც კარგად უნდა იქნას აღქმული ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ. სწორედ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ხდებიან ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის უსაფრთხოების გარანტი და ეს ძალიან ნათლად დაადასტურა ჯერ საქართველოს (2008) და შემდეგ, კიდევ უფრო გამოკვეთილად, უკრაინის (2014, 2022) მაგალითებმა.

გლობალური საერთოების კონტექსტში საერთაშორისო თანამშრომლობის მსგავსად, სამხრეთ კავკასიის შემთხვევაში, შეიძლება ვისაუბროთ როგორც რეგიონის საერთო, ისე ცალკეული ქვეყნისათვის დამახასიათებელ ისეთ განსაკუთრებულ პირობებზე, რომლებზე საერთო-რეგიონული წვდომის უზრუნველყოფა, ზოგადად, სამხრეთ-კავკასიის განვითარებისა და კონკურენციული უპირატესობის მოპოვების მნიშვნელოვანი წინაპირობა შეიძლება გახდეს. უპირველეს ყოვლისა, ასეთებად მოვიაზრებთ: ჰაერს, წყლის რესურსებს, სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემებს, კიბერ სივრცეს (რეგიონული საერთოები), ზღვას, ბუნებრივ რესურსებს (სახელმწიფოთა ინდივიდუალური უპირატესობები) და ა.შ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ „რეგიონული საერთოების“ მართვა იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა, რომელიც შეიძლება გაჩნდეს აღნიშნული საკითხისადმი რეგიონული მიდგომის უზრუნველყოფის პროცესში. განსაკუთრებით, ეს საკითხი მწვავე გახდება კრიზისულ ვითარებებში. უკანასკნელმა კრიზისებმა (მაგალითად, პანდემიამ) დაგვანახა, რომ თვით განვითარებულმა და ძლიერმა სახელმწიფოებმაც კი, თავდაპირველად, გადადგეს ნაბიჯები პრობლემის ერთობლივი დაძლევის საწინააღმდეგოდ. მითუმეტეს, ეს მოსალოდნელი იქნება განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მიუხედავად იმისა, თუ რა სახის და მასშტაბის პრობლემა იქმნება თანამედროვე მსოფლიოში, მათი დაძლევის ყველაზე

ეფექტიან მეთოდად შეიძლება ჩაითვალოს ძალისხმევის კოორდინაცია და ერთობლივი ქმედებები, მიმართული კრიზისის დასაძლევად. ამასთან, გაერთიანებას ენიჭება გადაწყვეტი მნიშვნელობა და არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს მსოფლიო თუ რეგიონულ დონეზე.¹³

წინამდებარე სტატიაში განხორციელებული მსჯელობის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა არის ევროკავშირის მხრიდან ძალიან დიდი კონტრიბუცია აღმოსავლეთ მეზობელი ქვეყნების სტაბილურობისა და განვითარებისათვის და, იმავდროულად, იგი არის ევროპის უსაფრთხოებისა და გლობალური მიზნების მიღწევის მხარდაჭერის ძალიან კარგი შესაძლებლობა. სწორედ ამიტომ, ორივე მხრიდან გადადგმული სწორი ნაბიჯები განაპირობებს მრავალმხრივი დადებითი შედეგების მიღწევას, ყველა მონაწილე მხარისათვის.

აღმოსავლეთ პარტნიორობის დახმარებით, საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს წვდომა უჩნდებათ ახალ ბაზრებსა და მომხმარებლებზე, რასაც განსაკუთრებით უწყობს ხელს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები. ასეთი შეთანხმების ერთ-ერთი მაგალითია ევროკავშირისა და საქართველოს შორის გაფორმებული „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“. პარტნიორობა, ასევე ხელს უწყობს ახალ ბაზრებზე წვდომას ტურიზმის განვითარებისთვის და გვთავაზობს შესაძლებლობებს ახალგაზრდებისთვის.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ, თუნდაც სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა იყოს გაგებული, როგორც ერთიანი ეკონომიკური სფერო, ეს არ ნიშნავს, რომ იარსებებს „ერთი ზონა ყველასთვის“. ცხადია, კონკრეტული გადაწყვეტილებები, მათი შესაბამისი გამოწვევები, პოლიტიკის მიზნები და ასე შემდეგ, გამომდინარეობს ქვეყნის სპეციფიკიდან. თუმცა, მთლიანობაში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა სასურველია შექმნან მჭიდროდ დაკავშირებული ინტეგრირებული ეკონომიკური ზონა, რის შედეგად, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეკონომიკური ზრდა რომელიმე ერთ ქვეყანაში, სარგებელს მოუტანს რეგიონის ერთიან ეკონომიკას, მთლიანად. ხოლო ცალკეული ქვეყნის შესაძლო წარუმატებლობა გადაფარულ (დაზღვეულ) იქნება მთლიანად რეგიონის საერთო პოტენციალით.

¹³Gavtadze, G., Karchkhadze, S. “Possibilities of Specialized Development of Economy and Deepening of Regional Cooperation in South Caucasus States“, journal “Bulletin of Akaki Tsereteli State University”, #2(20), Kutaisi, 2022.

ბიბლიოგრაფია

1. სილაგაძე, ლევან, ათანელიშვილი, თამარ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში თანამედროვე ეტაპზე (შედარებითი ანალიზი), 2019. <https://academlab.openjournals.ge/index.php/academlab/article/download/4094/4326/6451> [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2024];
2. ღავთაძე, გიორგი, ადგილობრივი ბიუჯეტების როლი სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის გატარებაში, მონოგრაფია, ქუთაისი. 1999;
3. Gvartadze, George. Karchkhadze, Salome. „Possibilities of Specialized Development of Economy and Deepening of Regional Cooperation in South Caucasus States“, journal “Bulletin of Akaki Tsereteli State University”, #2(20), Kutaisi, 2022. <https://moambe.at su.edu.ge/ge/article/432> [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2024];
4. Gerald, Stang, Global commons: Between cooperation and competition, European Union Institute for Security Studies (EUISS), 2013. https://www.jstor.org/stable/pdf/resrep06840.pdf?refreqid=fastly-default%3A391713f440b9b773ec61c5562b6cdf8f&ab_segments=0%2Fbasic_search_gsv2%2Fcontrol&origin=&initiator=search-results&acceptTC=1 [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2024];
5. „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება“. <https://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7> [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2024];
6. Shared Vision, Common Action: A Stronger Europe, A Global Strategy for the European Union’s Foreign and Security Policy, EU, June 2016. https://www.eeas.europa.eu/sites/default/files/eugs_review_web_0.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2024];
7. Trading and Development in the Age of Global Value Chains, World Development Report 2020. <https://www.worldbank.org/en/publication/wdr2020> [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2024];
8. Eastern Partnership: Commission proposes new policy objectives for beyond 2020. Eastern Partnership: new policy objectives for beyond 2020 (europa.eu) [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2024];
9. European Neighbourhood Policy and Enlargement Negotiations (DG NEAR), available at: European Neighbourhood Policy - European Commission (europa.eu) [უკანასკნელად გადამოწმდა 14.03.2024];

საქართველოს ევროპეიზაცია: ევროპული საჯარო სამართლის რეხეფცია საქართველოში

პაატა კუბლაშვილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორი

აბსტრაქტი

ევროპული ინტეგრაცია სუვერენულ სახელმწიფოთა თავისუფალი კონსენსუსის შედეგად განვითარებული პროგრესული თანამშრომლობის ზენაციონალური ფორმაა. ევროპული ინტერპრეტაციით სამართლის ევროპეიზაცია ევროინტეგრაციის სივრცეში ეროვნული და სუპერნაციონალური სამართლებრივი სისტემების ერთმანეთთან დაახლოების დემონსტრაციული პროცესია, რომელიც არის არა მხოლოდ ნებელობითი პოლიტიკური აქტი, არამედ უფრო სავალდებულო და სამართლებრივი ხასიათის დეფინიციაა.¹

2014 წლის 27 ივნისს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება (AA), გამოხატავს აბსოლუტურ პატივისცემას საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების მთლიანობის მიმართ. ევროპული ასოცირება ქართველი ხალხის მხრიდან გაცხადებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტია. ამ პოლიტიკის აღსრულების ინსტრუმენტი ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი დაახლოებაა (აპროქსიმაცია).

ასოცირების შეთანხმების ფარგლებში კომპლექსური ტრანსფორმაციის შესაძლებლობა უდიდესი სიკეთეა დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის. ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული სამართლებრივი რეფორმების სრულად და წარმატებით განხორციელება ევროპული კავშირის ნორმატიული წინაპირობაა და ქვეყნის ევროპეიზაციის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა.²

ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ რეგულაციებთან. სამართლებრივი დაახლოების (legal approximation) ერთ-ერთი სფეროა სახელმწიფო შესყიდვები რომელიც ექცევა ევროკავშირის ექსკლუზიური იურისდიქციის ფარგლებში. სახელმწიფო შესყიდვების ევროპეიზაცია, როგორც საქართველოს სახელმწიფოს გაცხადებული პოლიტიკური ნება მოითხოვს ევროპული სამართლებრივი გამოცდილების ნაციონალურ სამართალში გაწერას (transposition).

ასოცირების შეთანხმების შესაბამისად³ საქართველოს საჯარო შესყიდვების სამართალი მისადაგებული უნდა იყოს ევროკავშირის საჯარო შესყიდვების სამართალთან (gradual approximation). შეთანხმებით განსაზღვრულ ვალდებულებათა შესრულებისა და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სახელმწიფომ მიიღო ევროპული საჯარო

¹ ყალიჩავა, კ., ქართული ადმინისტრაციული სამართლის ევროპეიზაცია ევროინტეგრაციის ჭრილში - წარსულის გამოცდილება და მომავლის პერსპექტივები, სამართლის ჟურნალი, №2, 2017, გვ. 296.

² გეგეშიძე, ა., საქართველოს ევროპული პერსპექტივა: როგორ დავიხლოვოთ მომავალი, საქართველოს ევროპული პერსპექტივის გახსნა, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, თბილისი, 2018, გვ. 12.

³ მუხლი 146, „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, 2014.

შესყიდვების სამართლთან ადაპტირებული „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.⁴ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებით, ძალადაკარგულად ცხადდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი რეგულაცია⁵ და ეროვნულ სამართალში ევროპული საჯარო სამართლის რეცეფცია ხდება.

საკვანძო სიტყვები: ასოცირების შეთანხმება, საჯარო შესყიდვები, დავების საბჭო, კონტრაქტის სანქცირება.

შესავალი

ევროპული კავშირი ერთადერთი სუპრანაციონალური ორგანიზაციაა. მისი ჩამოყალიბება და განვითარება სხვადასხვა სფეროში მისი წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის შემცირების, დათმობის ხარჯზე განხორციელდა.⁶ ასოცირების შეთანხმება წარმოშობს საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებას, ეროვნული კანონმდებლობა შეუსაბამოს ევროკავშირის კანონმდებლობას ნაციონალურ სამართალში მისი რეცეფციის გზით. საქართველოს კონსტიტუციის დეფინიცია,⁷ კონსტიტუციურმა ინსტიტუციებმა თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ ზომები ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში (NATO) საქართველოს სახელმწიფოს ინტეგრირებისათვის, ადასტურებს, რომ ევროპული ინტეგრაცია და ევროპულ სტრუქტურებში (ევროპის კავშირი) გაწევრიანება ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ფასეულობა და ლეგიტიმური ინტერესია.⁸

სახელმწიფო შესყიდვების სამართლის რეფორმირება დაკავშირებულია შესყიდვების ეროვნულ ნორმათა ევროკავშირის შესყიდვების სამართალთან უნიფიცირებასთან, რომელსაც საქართველოს, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის სახელმწიფოს, ასოცირების საერთაშორისო ხელშეკრულება ავალდებულებს. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებით, ქართული საჯარო სამართლებრივი წესრიგი საბოლოოდ ემიჯნება პოსტსაბჭოურ სამართალს და ევროკავშირის პრეცედენტულ საჯარო შესყიდვების სამართალთან ჰარმონიზირდება. ასოცირების შეთანხმების დირექტივების გათვალისწინებით, ინსტიტუციურად და სამართლებრივად იცვლება შესყიდვების სამართლის არაერთი საკითხი - ინერგება ახალი სატენდერო სახის ინსტიტუტი (DRC) და სატენდერო დეფინიციები.

ინოვაციური სახის „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია ეროვნულ სამართალში ასახოს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული საჯარო შესყიდვების ნორმები. საერთაშორისო შეთანხმებიდან გამომდინარე მაშტაბური რეფორმირება შეეხო სახელმწიფო შესყიდვების სამართლის სატენდერო შინაარსის ნორმებს. ასოცირების შეთანხმების შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით,⁹ იცვლება:

⁴ „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ძირითადი სატენდერო დეფინიციები ამოქმედდება 2025 წლის 1 იანვრიდან.

⁵ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი ძალადაკარგულად ცხადდება 2025 წლის 1 იანვრიდან - „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების თარიღიდან.

⁶ ფირცხალაშვილი, ა., მირიანაშვილი გ., ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018, გვ. 19.

⁷ მუხლი 78, საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995.

⁸ ქარდავა, ე., ასოცირების შეთანხმების, როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ადგილი ეროვნულ სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, №2, 2021, გვ. 25.

⁹ მუხლი 141-149, „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, 2014.

- სახელმწიფო (საჯარო) შესყიდვებთან დაკავშირებული ეტაპები
- განისაზღვრა შესყიდვების პროცესის რვა მთავარი პროცედურა
- ტენდერის შერჩევა-შეფასების სტადიაზე ეკონომიკური ოპერატორის (პრეტენდენტი) მიერ წარდგენილი მტკიცებულებათა შეფასების წესი
- ტენდერის შერჩევა-შეფასების სტადიაზე ეკონომიკური ოპერატორის შეფასების წესი
- ტენდერი შერჩევა-შეფასების სტადიაზე ეკონომიკური ოპერატორის დისკვალიფიკაციის საფუძველი
- თეთრი სიის ოფიციალურ რეესტრში ეკონომიკური ოპერატორის რეგისტრირების წესი
- შავი სიის ოფიციალურ რეესტრში ეკონომიკური ოპერატორის რეგისტრირების წესი
- შავი სიის რეესტრში რეგისტრირებული პრეტენდენტის რეესტრიდან ვადაზე ადრე ამოღების საფუძველი (ე.წ. თვითწმენდის მექანიზმი)
- აფიდავიტის სატენდერო ფორმის დარღვევის შემთხვევაში ეკონომიკური ოპერატორის (პრეტენდენტი) არაკეთილსინდისიერი ქმედების შეფასები ტესტი
- გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში შესყიდვა განხორციელდება წინასწარი გამოქვეყნების გარეშე მოლაპარაკების პროცედურებით (გამარტივებული შესყიდვის პროცედურის ანალოგი)
- 100 000 ლარამდე მომსახურების შესყიდვა განხორციელდება შესყიდვების კომიტეტის (სატენდერო კომისიის ანალოგი) მონაწილეობის გარეშე
- „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით იქმნება გამჭვირვალე სატენდერო, კონკურენტული გარემო საჯარო შესყიდვის პროცესში კეთილსინდისიერი და პოტენციური სუბიექტების მონაწილეობისათვის

1. დავების განხილვის საბჭო (DRC), როგორც კვაზი-სასამართლოს სტატუსის მქონე კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო

ასოცირების საერთაშორისო ხელშეკრულება¹⁰ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა რანგის შეთანხმებაა რომელიც ერთნაირად სავალდებულოა ხელშემკვრელი ორივე მხარისთვის - ევროკავშირისა და საქართველოსათვის. ესაა ევროპული სახის გარიგება ორ თანასწორ სახელმწიფო სუბიექტს შორის. ასოცირების შეთანხმება - როგორც საერთაშორისო სტატუსის ხელშეკრულება, იერარქიულად და პოლიტიკურად უფრო მაღლა დგას ვიდრე ნაციონალური სამართალი, მაგრამ უფრო დაბლა, ვიდრე სახელმწიფოს უზენაესი კანონი - კონსტიტუცია. ასოცირების შეთანხმებისა და ეროვნული სამართლის იურიდიული დაპირისპირების შემთხვევაში, უნდა შეიცვალოს ეროვნული სამართლის ნორმა, ხოლო კონსტიტუციასთან სამართლებრივი კოლიზიის შემთხვევაში - ასოცირების შეთანხმება.

ევროპასთან ასოცირების შეთანხმების სატენდერო შინაარსის ნორმების თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს საჯარო შესყიდვების სისტემის სათანადო ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუციური გარემოს შექმნა. საქართველოს სახელმწიფო იღებს ვალდებულებას დააფუძნოს კოლეგიური სააპელაციო ორგანო, რომელიც ორიენტირებული იქნება გადასინჯოს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო

¹⁰ „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, 2014.

კომისიის მიერ სატენდერო პროცესის შედეგად მიღებული პრეტენდენტის მადისკვალიფიცირებადი გადაწყვეტილებები. ასოცირების შეთანხმების შესყიდვების სამართლის სატენდერო ნორმათა მიხედვით¹¹ კოლეგიურ სააპელაციო ორგანოში მოისაზრება რომ ეს სატენდერო ორგანო უნდა იყოს:

- საჯარო დაწესებულება - სახელმწიფო ინსტიტუტი
- საჯარო დაწესებულება - სახელმწიფო ინსტიტუტი, გამოყოფილია შემსყიდველი ორგანიზაციისაგან
- საჯარო დაწესებულება - სახელმწიფო ინსტიტუტი, დისტანცირებულია ეკონომიკური ოპერატორებისაგან
- შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ეკონომიკური ოპერატორის მიერ საჩივრდება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში (DRC)
- დამოუკიდებელი ორგანოს (DRC) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლო წესით

სახელმწიფო შესყიდვებში, სატენდერო დავების განხილველი სააპელაციო ინსტიტუტი (DRC), როგორც კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო, სატენდერო კომისიის¹² წინააღმდეგ შესყიდვის სატენდერო პროცესიდან გამომდინარე სატენდერო დავებს განიხილავს. დავების განხილვის საბჭო არ არის სატენდერო დავის განხილვის ფართოდ გავრცელებული უფლებათა დაცვის პერსონიფიცირებული (მედიატორი, არბიტრი) სააპელაციო ინსტიტუტი. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საბჭო სუვერენული ორგანოა,¹³ თუმცა დავების საბჭო არ განიხილება საერთო სასამართლოებისათვის ადმინისტრაციული საქმეებისგან განტვირთვის ერთადერთი უალტერნატივო საშუალება.

დავების განხილვის საბჭო (DRC), როგორც კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო, მართალია არ ახორციელებს მართლმსაჯულებას და როგორც სასამართლო ინსტიტუცია არ პრეზუმირებს სამართლის განვითარებისათვის, თუმცა შესყიდვების სამართლიდან გამომდინარე დავების განხილვისას, განმარტავს სატენდერო ნორმებს და კვაზი-სასამართლოს ფუნქციას ითავსებს. დავების საბჭოს წევრები სატენდერო დავების განხილვისას ასევე ახორციელებენ კვაზი-სასამართლოს (მოსამართლის) ფუნქციას და შესაბამისად, ისინი ამ დროს არა უბრალოდ დავების განხილვის პროცესის დამკვირვებლები არიან, არამედ გადაწყვეტილების მიმღებ დამოუკიდებელ და მნიშვნელოვან პროცესუალურ აქტორებს წარმოადგენენ. შესყიდვების სამართლით დეფინირებული დავების საბჭოს ინსტიტუტი, ახორციელებს რა კვაზი-სასამართლოს უფლებამოსილებას, პროცესუალურ შესაძლებლობას ანიჭებს პრეტენდენტს, გასაჩივრების გზით გადაისინჯოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ტენდერიდან მისი დისკვალიფიკაციის შესახებ.

საჯარო შესყიდვების სამართლიდან წარმოშობილი დავების განხილვისას, სატენდერო დაპირისპირების თავიდან აცილებისათვის მნიშვნელოვანია შესყიდვების პროცესის კონტრაქტითა მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება (პროცედურული სამართლიანობის უფლება). ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის

¹¹ მუხლები 141-149-ე, „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, 2014.

¹² კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსის მქონე ინსტიტუცია.

¹³ მუხლი 83, საქართველოს კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“. 9 თებერვალი, 2023.

კონვენციის თანახმად,¹⁴ ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება). სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება აბსოლუტური ხასიათის უფლებაა ეროვნულ სატენდერო სამართალწარმოებაში და მისადაგებულია ევროკავშირის საჯარო შესყიდვების სამართალთან. საჯარო შესყიდვებში (სატენდერო პროცესში) სამართლიანი სასამართლოს უფლება სიმულაციური იქნებოდა, თუ ეროვნულ სამართლებრივ სივრცეში შეუძლებელი იქნებოდა დავების საბჭოს გადაწყვეტილებათა სასამართლო კონტროლი.

2. დავების განხილვის საბჭოში (DRC) წარდგენილი საჩივრის სუსპენზური ეფექტი

ასოცირების შეთანხმების საფუძველზე 2025 წლიდან ასამოქმედებელი საჯარო შესყიდვების სამართალი პრეტენდენტებს გასაჩივრების სამ ალტერნატივას სთავაზობს: შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია, საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო და სასამართლო.

- გადაწყვეტილება, ეკონომიკური ოპერატორის (პრეტენდენტი) ტენდერიდან დისკვალიფიკაციის შესახებ მიიღება კოლეგიური წესით, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის მიერ
- შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს¹⁵
- შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება ეკონომიკური ოპერატორის (პრეტენდენტი) ტენდერიდან დისკვალიფიკაციის შესახებ ერთჯერადად საჩივრდება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში და შემდეგ სასამართლოში
- საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს
- გადაწყვეტილებას არაკეთილსინდისიერი ქმედებისათვის¹⁶ დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ განკარგულების სახით გამოსცემს სსიპ სახელმწიფო (საჯარო) შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე რომელიც საჩივრდება პირდაპირ სასამართლოში.
- სსიპ სახელმწიფო (საჯარო) შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს

შეპირისპირებულ მხარეთა სატენდერო დავაში დავების განხილვის საბჭოს როლი უმნიშვნელოვანესია. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების გაცნობიდან არაუგვიანეს ათი დღისა ერთჯერადი გასაჩივრების წესით საჩივრდება საჯარო

¹⁴ მუხლი 6, “ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია”, 1950.
¹⁵ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საქმეზე DET230012244_02, 15 სექტემბერი, 2003, გვ. 7.
¹⁶ ხელშეკრულების დავების უფლების მოპოვების მიზნით პრეტენდენტის მიერ ჩადენილი არაკეთილსინდისიერი ქმედება.

შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში. დავების საბჭო საჩივრის რეგისტრაციიდან ორ სამუშაო დღეში ადგენს კვალიფიციური და აქტიური სტატუსის პრეტენდენტის საჩივრის დასაშვებობის საკითხს და საჩივრის დასაშვებად ცნობიდან ათი სამუშაო დღის ვადაში გამოაქვს გადაწყვეტილება:

- საჩივრის სრულად დაკმაყოფილების
- საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების
- საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს (DRC) გადაწყვეტილება ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართლის წესით გასაჩივრებას შესაბამისი გადაწყვეტილების დავების საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე¹⁷ გამოქვეყნების მომენტიდან.

დავების განხილვის საბჭოს (DRC) მიერ პრეტენდენტის სატენდერო საჩივრის დასაშვებად ცნობის მომენტისთანავე ელექტრონულ სატენდერო პროცედურებში მოქმედებს „სუსპენზიური ეფექტი“, იგივე პრეტენდენტის ფიქსირებული პროტესტი (სატენდერო აპელაცია). ესე იგი, დავების საბჭოს მიერ საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე შესყიდვის პროცედურები შეჩერებულად ითვლება საბჭოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებამდე.

„სუსპენზიური ეფექტი“ უფლებათა დაცვის სამართლებრივი გარანტია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტისათვის რადგანაც მისი სატენდერო ინტერესის დაცვა და შესაბამისად დარღვეულ უფლებებში რესტიტუცია აუცილებელია მოხდეს მანამ, სანამ შემსყიდველი ორგანიზაცია სხვა პრეტენდენტთან წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესს დაიწყებს.

შესყიდვების სატენდერო პროცესში „სუსპენზიური ეფექტის“ მაკვალიფიცირებადი სატენდერო სტადიებია:

- შემსყიდველი ინსტიტუტი მომსახურების შესყიდვის მიზნით ელექტრონული წესით აცხადებს სახელმწიფო შესყიდვას (ელექტრონული ტენდერი);
- ელექტრონული ტენდერი საჯაროსამართლებრივი ინსტიტუტია და ინფორმაცია ტენდერის შესახებ საჯაროა;
- ტენდერით დადგენილია პრეტენდენტთა სატენდერო საკვალიფიკაციო მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტაცია (მტკიცებულებები);
- სატენდერო პროცესში მონაწილე პრეტენდენტი მონაწილეობს რა ტენდერში, შესყიდვების ელექტრონულ მოდულში ტვირთავს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელ დოკუმენტაციას (მტკიცებულებები);
- შემსყიდველი ინსტიტუტი (სატენდერო კომისია) ტენდერის შერჩევა-შეფასების სტადიაზე აფასებს პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემების შესაბამისობას სატენდერო მოთხოვნებთან;
- პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემების სატენდერო მოთხოვნებთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში სატენდერო კომისია იღებს სატენდერო პროცესში მონაწილე პრეტენდენტის სანქცირებადი სახის გადაწყვეტილებას (დისკვალიფიკაცია);

¹⁷ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო, www.drc.gov.ge.

- სატენდერო კომისია იწყებს მომდევნო დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტთან წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესს;
- დისკვალიფიცირებული პრეტენდენტი ასაჩივრებს სატენდერო კომისიის მიერ მიღებულ სანქცირებული სახის (დისკვალიფიკაცია) გადაწყვეტილებას;
- შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო განიხილავს დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ საჩივრის დასაშვებობის საკითხს;
- დავების განხილვის საბჭოს მიერ პრეტენდენტის საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე ელექტრონული შესყიდვის სატენდერო პროცედურები ჩერდება (სუსპენზიური ეფექტი);
- შესყიდვის სატენდერო პროცედურების (ტენდერი) შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია;
- სატენდერო პროცედურების (ტენდერი) შეჩერების განმავლობაში სატენდერო პროცესში მონაწილე სუბიექტებს¹⁸ ეზღუდებათ სატენდერო აქტივაცია;
- სატენდერო პროცესის შეჩერების პერიოდში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვა განახორციელოს მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის არსებობისას¹⁹;
- ტენდერიდან დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში დავების საბჭო არსებითად იხილავს საქმეს;
- მოსარჩელე პრეტენდენტს დავების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე უფლება აქვს გამოიხმოს საჩივარი;
- პრეტენდენტის მიერ საჩივრის გამოხმობის შემთხვევაში საჩივარი აღარ განიხილება;
- დავების საბჭოს მიერ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების გაუქმებისას სატენდერო პროცედურები უნდა განახლდეს.

საჯარო შესყიდვების სამართალში სუსპენზიურ პოსტულატს მსუსხავი ეფექტი აქვს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებების მიმართ. სუსპენზიური ეფექტის სატენდერო დანიშნულებაა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ეკონომიკური ოპერატორი (პრეტენდენტი) დაიცვას სატენდერო კომისიის უსამართლო სატენდერო ინტერვენციისაგან, რაც de facto გულისხმობს იმ მდგომარეობის დაბრუნებას, რაც არსებობდა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

საერთაშორისო და საჯარო შესყიდვების სამართლის ნორმათა ლეგალური დეფინიციები და სატენდერო მანდატი, ცხადია დავების საბჭოს მასზედ დელეგირებულ - მაკონტროლებელი ინსტიტუციის ფუნქციის რეალიზების შესაძლებლობას აძლევს, მაგრამ მხოლოდ იმ დათქმით რომ იგი არ უნდა შეიჭრას სასამართლოს ექსკლუზიურ კომპეტენციებში და არ უნდა ცდილობდეს პარალელური საჯარო სამართლისა და მართლმსაჯულების განხორციელებას, რაც კონსტიტუციური წესრიგის დაცვის ღირსი და ლეგიტიმური ინტერესია.

ეროვნული სამართლის სუსპენზიური-სატენდერო პროცესი, არ უპირისპირდება ევროპული, პრეცედენტული შესყიდვების ნორმატიულ დათქმებს პრევენციული და რეპრესიული სატენდერო ქმედებათა შესახებ და უნიფიცირებულია ეროვნული სამართლის შესაბამის ნორმებში.

¹⁸ შემსყიდველი ორგანიზაცია, ტენდერში მონაწილე აქტიური და პასიური სტატუსის მქონე პრეტენდენტები
¹⁹ მუხლი 3, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „რ“, საქართველოს კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“. 9 თებერვალი, 2023.

3. დავების განხილვის საბჭოს (DRC) საგამოძიებო უფლება

პრეტენდენტის საჩივრის დასაშვებად ცნობის მომენტიდან დავების საბჭოს საქმიანობა სატენდერო პროცესის სრულიად ახალ სტადიაზე გადადის და საბჭო ოპერირებს დავის სწრაფ და სამართლიან გადაწყვეტაზე. სანქცირებული პრეტენდენტი ან შესყიდვების პროცესში მონაწილეობის მსურველი სუბიექტი რომელიც მიიჩნევს, რომ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება აშკარად უსამართლოა ან/და სატენდერო პირობა დისკრიმინაციულია, საჩივრის ერთჯერადი წარდგენის უფლებით (Locus Standi) სარგებლობს და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით²⁰ ასაჩივრებს შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებას. სატენდერო პირობის დისკრიმინაციულობის შემთხვევაში საჩივრდება სატენდერო პირობა (ჩანაწერი), რომლის სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ ინტერესს კანონმდებლობის შეუსაბამო ჩანაწერის გაუქმება წარმოადგენს, ხოლო ტენდერიდან პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში საჩივრდება სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება რომლის დროსაც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი (სატენდერო ნორმა) სატენდერო კომისიის კანონმდებლობის შეუსაბამო გადაწყვეტილების გაუქმებაა.²¹ დისკრიმინაციული სატენდერო პირობის ჩანაწერთან დაკავშირებულ სატენდერო დავისას, პრეტენდენტმა დავების საბჭოს უნდა წარუდგინოს მტკიცებულებები რომელიც სატენდერო პირობის დისკრიმინაციულობას ადასტურებს, რის შემდეგადაც სატენდერო კომისიას ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ სატენდერო პირობა არადისკრიმინაციულია.²²

საჩივრის მიღების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია (მოპასუხე) ვალდებულია, საბჭოს (DRC) დავის საგანთან დაკავშირებით წარუდგინოს სატენდერო შესაგებელი²³ როგორც სატენდერო თავდაცვის პროცესუალური საშუალება და ყველა სახის რელევანტური წერილობითი მტკიცებულება რომელიც ამართლებს მის მიერ პრეტენდენტის მიმართ მიღებულ მასანქცირებად გადაწყვეტილებას. საპროცესო შესაგებლის წარუდგენლობა არ არის სატენდერო სამართალწარმოებაში სამოქალაქო საპროცესო სამართლით დადგენილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი.²⁴ არც კონტრაქტის²⁵ გამოუცხადებლობაა დავების საბჭოს მიერ საჩივრის განუხილველად დატოვების კანონისმიერი წინაპირობა. დავების საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ პრეტენდენტის მიერ საჩივრის გამოხმობის შემთხვევაში,²⁶ ყველა სხვა სახის სატენდერო დავის დროს საბჭო ვალდებულია არსებითად განიხილოს და გადაწყვიტოს სატენდერო დავა.²⁷ დავების საბჭოში პრეტენდენტის ან სხვა დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის საფუძველზე, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილია. სატენდერო დავის პროცესში

²⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, <https://tenders.procurement.gov.ge/login.php>.

²¹ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საქმეზე DET210000665_02(NAT), 22 მარტი, 2021.

²² სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საქმეზე DIS160019380_01, 28 ივლისი, 2016.

²³ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საქმეზე DET230012244_02, 8 ივნისი, 2017.

²⁴ მუხლი 229, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14 ნოემბერი, 1997.

²⁵ სატენდერო პროცესში მონაწილე პირი, შემსყიდველი ორგანიზაცია, პრეტენდენტი.

²⁶ მუხლი 17, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №826 დადგენილება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

²⁷ მუხლი 14, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №826 დადგენილება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.

მხარეების საპროცესო უფლებამოსილება ხორციელდება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების შესაბამისად, ანუ დავის სატენდერო პროცესში ჩართული მხარე კონცენტრირებულია დავების საბჭოს წარდგინოს მტკიცებულებები რომლებზედაც აგებულია მისი სატენდერო შესაგებელი. სატენდერო პროცესის კონტრაპენტთა მიერ სატენდერო, სადავო პროცესში წარდგენილ მტკიცებულებებს დავების განმხილველი საბჭოსათვის არა აქვს წინასწარ დადგენილი მტკიცებულებათა სახე. დავების განხილვის საბჭოს (DRC) წევრი, პროცესის მონაწილეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს აფასებს თავის შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება სატენდერო დავის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოძიებას.

სატენდერო სამართალწარმოებაში დავების განხილვის საბჭოს (DRC) თვითინიციატივის საზომი აბსოლუტური დისკრეცია და ინკვიზიციაა.²⁸ თუმცა დავების საბჭო შეზღუდულია პრეტენდენტის სატენდერო მოთხოვნით - არ არის უფლებამოსილი გასცდეს სატენდერო საჩივრის ფარგლებს და შეზღუდულია უფლებით დაეხმაროს სანქცირებულ პრეტენდენტს სატენდერო მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.²⁹

4. დავების განხილვის საბჭო (DRC), როგორც ადმინისტრაციული ორგანოს სტატუსის მქონე ინსტიტუცია

ადმინისტრაციულ ორგანოში (სატენდერო კომისია) საჭირო სატენდერო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარდგენა არის დაინტერესებული პირის პროცედურული უფლების რეალიზაცია, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით განეკუთვნება პირის უფლებას, რომლის გამოყენების ხარისხზეც არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებები და დასკვნები, თუმცა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურაში ამ უფლების არასათანადო რეალიზაცია იწვევს პრეტენდენტის სანქცირებას - დისკვალიფიკაციას.

ეკონომიკური ოპერატორის (პრეტენდენტი) პროცესუალური უფლება, სატენდერო პირობების შესაბამისად მტკიცებულების სახით კეთილსინდისიერად წარადგინოს მოთხოვნილი სატენდერო დოკუმენტაცია, სახელმწიფო შესყიდვებში ტრანსფორმირდება როგორც ეკონომიკური ოპერატორის (პრეტენდენტი) პროცესუალური ვალდებულება. სატენდერო პროცესში პრეტენდენტის მიერ წარდგენილი მტკიცებულებათა შეფასება და მათი სატენდერო მოთხოვნებთან რელევანტურობის დადგენა სატენდერო კომისიის კანონისმიერი კომპეტენციაა. შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება - ეკონომიკური ოპერატორის (პრეტენდენტის) დისკვალიფიკაციის შესახებ, ექვემდებარება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს (DRC) როგორც სახელმწიფო შესყიდვების კანონიერებასა და მიუკერძოებლობაზე ზედამხედველობის განმხორციელებელი ინსტიტუციის სამართლებრივ კონტროლს.

საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო (DRC) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დეფინირებული ადმინისტრაციულ ორგანოა,³⁰ რომლის სატენდერო პროცესთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები (საჩივრის სრულად, ნაწილობრივ ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები) სრულად აკმაყოფილებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის³¹ მკვალიფიცირებად სატენდერო პირობებს:

²⁸ მუხლი 4, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 23 ივლისი, 1999.

²⁹ მუხლი 28¹, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 23 ივლისი, 1999.

³⁰ მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25 ივნისი, 1999.

³¹ მუხლი 2, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „დ“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25 ივნისი, 1999.

- სატენდერო, სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი სუბიექტი არის დავების განხილვის საბჭო (DRC) - ადმინისტრაციული ორგანო³²;
- სატენდერო, სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს საჯარო სამართლის კანონმდებლობიდან;
- დავების განხილვის საბჭოს (DRC) ქმედება მიმართულია კონკრეტული სატენდერო ურთიერთობის დარეგულირებისაკენ;
- დავების განხილვის საბჭოს (DRC) პერსონალური, სატენდერო ინტერვენცია აწესებს, ცვლის, წყვეტს და ადასტურებს ეკონომიკური ოპერატორის სატენდერო, სამართლებრივ მდგომარეობას.

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში დავების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისგან და შეიცავს წერილობით დასაბუთებას. გადაწყვეტილება მიღებისთანავე იტვირთება შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, საჯაროა და დაინტერესებული პირისთვის ჩაბარებულად ითვლება.

4.1. არაკეთილსინდისიერი კონტრაქტის სანქცირება საჯარო შესყიდვების სამართალში

„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, შესყიდვებში მონაწილე სუბიექტებს შორის შესყიდვების პროცედურის გვერდის ავლით წარმოებული ფარული მოლაპარაკება არაკეთილსინდისიერი ქმედებაა და იგი ეკონომიკური ოპერატორის ტენდერიდან დისკვალიფიკაციის საფუძველია. სატენდერო კონფლიქტი შესყიდვების პროცესის კონტრაქტთა შორის წარმოიშობა მაშინ როდესაც, ეკონომიკური ოპერატორი მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედებით არღვევს „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის³³ პირობებს და ქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევის რისკს. სატენდერო კომისია, აფასებს რა ელექტრონული მოდულის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სატენდერო დოკუმენტაციას, პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერი ქმედების დადგენისთანავე, შესყიდვის შერჩევა-შეფასების სტადიაზე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იღებს გადაწყვეტილებას სუბიექტის შესყიდვების პროცედურიდან დისკვალიფიკაციის შესახებ.³⁴ შესყიდვების პროცედურებში არაკეთილსინდისიერი ქმედება ასევე შავი სიის ოფიციალურ რეესტრში³⁵ პრეტენდენტის დარეგისტრირების საფუძველია და იმავდროულად სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნორმით დადგენილი დასჯადი ქმედებაა.³⁶

³²სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საქმეზე DET230012244_02, 15 სექტემბერი, 2003, გვ. 7.

³³ მუხლი 58, საქართველოს კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“. 9 თებერვალი, 2023.

³⁴ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება №4 ელექტრონულ ტენდერზე NAT230027193, 31 იანვარი, 2024.

³⁵ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება №609 ელექტრონულ ტენდერზე NAT230027193, 22 თებერვალი, 2024.

³⁶ მუხლი 195¹, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22 ივლისი, 1999.

დასკვნა

დავების განხილვის საბჭოს (DRC) მიერ პრეტენდენტის სატენდერო საჩივრის დასაშვებად ცნობის მომენტისთანავე ელექტრონულ სატენდერო პროცედურებში მოქმედებს “სუსპენზიური ეფექტი” - იგივე პრეტენდენტის ფიქსირებული პროტესტი (სატენდერო აპელაცია). საჯარო შესყიდვების სამართალში სუსპენზიურ პოსტულატს მსუსხავი ეფექტი აქვს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებების მიმართ. სუსპენზიური ეფექტის სატენდერო დანიშნულებაა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ეკონომიკური ოპერატორი (პრეტენდენტი) დაიცვას სატენდერო კომისიის უსამართლო სატენდერო ინტერვენციისაგან.

საერთაშორისო და საჯარო შესყიდვების სამართლის ნორმათა ლეგალური დეფინიციები და სატენდერო მანდატი, ცხადია დავების საბჭოს მასზედ დელეგირებულ - მაკონტროლებელი ინსტიტუციის ფუნქციის რეალიზების შესაძლებლობას აძლევს, მაგრამ მხოლოდ იმ დათქმით რომ იგი არ უნდა შეიჭრას სასამართლოს ექსკლუზიურ კომპეტენციებში და არ უნდა ცდილობდეს პარალელური საჯარო სამართლისა და მართლმსაჯულების განხორციელებას, რაც კონსტიტუციური წესრიგის დაცვის ღირსი და ლეგიტიმური ინტერესია.

სატენდერო სამართალწარმოებაში დავების განხილვის საბჭოს (DRC) თვითინიციატივის საზომი აბსოლუტური დისკრეცია და ინკვიზიციაა. თუმცა დავების საბჭო შეზღუდულია პრეტენდენტის სატენდერო მოთხოვნით - არ არის უფლებამოსილი გასცდეს სატენდერო საჩივრის ფარგლებს და შეზღუდულია უფლებით დაეხმაროს სანქცირებულ პრეტენდენტს სატენდერო მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

„საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, შესყიდვებში მონაწილე სუბიექტებს შორის შესყიდვების პროცედურის გვერდის ავლით წარმოებული ფარული მოლაპარაკება არაკეთილსინდისიერი ქმედებაა და იგი ტენდერიდან დისკვალიფიკაციის უპირობო საფუძველია. სატენდერო კომისია, აფასებს რა ელექტრონული მოდულის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარდგენილ სატენდერო დოკუმენტაციას, პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერი ქმედების დადგენისთანავე, შესყიდვის შერჩევა-შეფასების სტადიაზე დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით იღებს გადაწყვეტილებას სუბიექტის შესყიდვების პროცედურიდან დისკვალიფიკაციის შესახებ. შესყიდვების პროცედურებში არაკეთილსინდისიერი ქმედება ასევე შავი სიის ოფიციალურ რეესტრში პრეტენდენტის დარეგისტრირების საფუძველია და იმავდროულად სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნორმით დადგენილი დასჯადი ქმედებაა.

ბიბლიოგრაფია

1. ყალიჩავა, კობა. ქართული ადმინისტრაციული სამართლის ევროპეიზაცია ევროინტეგრაციის ჭრილში - წარსულის გამოცდილება და მომავლის პერსპექტივები, სამართლის ჟურნალი, 2017;
2. გეგეშიძე, არჩილ. საქართველოს ევროპული პერსპექტივა: როგორ დავიხლოვოთ მომავალი, საქართველოს ევროპული პერსპექტივის გახსნა, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, თბილისი, 2018;
3. ფირცხალაშვილი, ანა. მირიანაშვილი, გიორგი. ადამიანის უფლებათა დაცვის პოლიტიკა ევროპული კავშირის სამართალში, თბილისი, 2018;
4. ქარდავა, ეკატერინე. ასოცირების შეთანხმების, როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ადგილი ეროვნულ სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2021;
5. საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო, 1995;
6. „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, 27 ივნისი, 2014;
7. “ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია”, 1950;
8. საქართველოს კანონი „საჯარო შესყიდვების შესახებ“. 9 თებერვალი, 2023;
9. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14 ნოემბერი, 1997;
10. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 25 ივნისი, 1999;
11. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 23 ივლისი, 1999;
12. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 22 ივლისი, 1999;
13. საქართველოს მთავრობის დადგენილება „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, 31 დეკემბერი, 2020;
14. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საქმეზე DET230012244_02, 15 სექტემბერი, 2003;
15. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საქმეზე DET210000665_02(NAT), 22 მარტი, 2021;
16. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საქმეზე DIS160019380_01, 28 ივლისი, 2016;
17. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება საქმეზე DET230012244_02, 8 ივნისი, 2017;
18. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება №4 ელექტრონულ ტენდერზე NAT230027193, 31 იანვარი, 2024;
19. სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება №609 ელექტრონულ ტენდერზე NAT230027193, 22 თებერვალი, 2024.

საქართველო - ევროკავშირის და აზიის გზაჯვარედინი - მნიშვნელოვანი აქტორი რეგიონალურ ენერგეტიკულ ლანდშაფტში

ქეთევან ვეზირიშვილი-ნოზაძე
ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მარიამ კუჭავა
დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ევროკავშირის სივრცეში საქართველოს სრულფასოვანი გაერთიანება არის ის საოცნებო მიზიდულობის ცენტრი, რომელიც აკისრებს ჩვენს ქვეყანას მისიას გახდეს ქრისტიანული, ევროპული ცივილიზაციის კარიბჭე კავკასიაში. საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა და მდიდარი განახლებადი, არატრადიციული ენერგეტიკული რესურსების ფლობა გვაძლევს უნიკალურ შანსს გავხდეთ ჰაბი, „შუა დერეფანი“ და „მწვანე ენერჯის“ გამტარი. ქართველები მზად ვართ გამოვიყენოთ ეს შესაძლებლობა ევროკავშირის ამბიციური ენერგეტიკული მიზნებისა და ევროპის „მწვანე შეთანხმებასთან“ შემდგომი თანხვედრისთვის.¹

ევროკავშირისკენ ჩვენს სწრაფვას წინ უძღოდა ინტენსიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა ენერგეტიკული კანონმდებლობის, რეგულაციებისა და ენერგოპოლიტიკის, ასევე ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დახვეწის მიმართულებებით. ასე შეიქმნა 21-ე საუკუნის მეგა-პროექტად წოდებული - შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტი. პროექტში ჩადებული ინიციატივა უფრო მეტია, ვიდრე უბრალო ინფრასტრუქტურის განვითარება; ეს არის ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციისა და ურთიერთდაკავშირებულობის სიმბოლო. შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი არა მხოლოდ გააძლიერებს ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და მრავალფეროვნებას, არამედ იქნება განახლებადი ენერჯის გაცვლის არხი აზიასა და ევროპას შორის.

შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის იდეა საქართველოში იშვა და აქვე ქართველი გეოლოგების მიერ ჩატარებულ იქნა ტექნიკური სამუშაოები შავი ზღვის ფსკერის გამოსაკვლევადა. შემდეგ ეტაპზე მოხდა ამ პროექტში აზერბაიჯანის რუმინეთისა და უნგრეთის ჩართვა. გაფორმდა უმნიშვნელოვანესი შეთანხმება, რომელსაც ხელი ოთხივე ქვეყნის წარმომადგენელმა მოაწერა.

ჩვენი კვლევის მიზანია ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისას წინასწარ დავადგინოთ თუ რა ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს საქართველო, შევძლებთ კი ექსპორტზე გავიტანოთ ჩვენი ქვეყნის განახლებადი რესურსების ენერჯია, თუ დავრჩებით

¹ Vezirishvili-nozadze, K., Pantskhava, E., Kanashvili, T., European "Green Agreement" and its impact on the energy sector of Georgia, „Vectors of Social Science“ 3, 2022. <https://doi.org/10.51895/VSS3/Vezirishvili-nozadze/Pantskhava/Kanashvili>.

მხოლოდ სატრანზიტო დერეფნად, რომელიც ასევე ძალიან მიმზიდველია, თუმცა ნაკლებად შემოსავლიანი.

სტატიაზე მუშაობისას შევაფასეთ საქართველოს განახლებადი, არატრადიციული ენერჯის წყაროთა პოტენციალი, მათი სამიზნე მაჩვენებლები და მახასიათებლები. მოკვლეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შევიმუშავეთ დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: განახლებადი, არატრადიციული ენერჯეტიკული რესურსები, შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი, ენერჯეტიკული უსაფრთხოება, „მწვანე ენერჯია“, ევროპული ინტეგრაცია.

შესავალი

2020 წლის ივნისში მსოფლიო ბანკმა შეისწავლა და წინასწარი ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე დაადასტურა 21-ე საუკუნის სტრატეგიული პროექტის - შავ ზღვაში წყალქვეშა კაბელის ჩადების მიზანშეწონილობა.

საქართველოს, აზერბაიჯანის, რუმინეთისა და უნგრეთის ლიდერებმა შეთანხმებას „მწვანე ენერჯის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ ხელი 2022 წლის 17 დეკემბერს მოაწერეს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველ ეტაპზე ასეთი ინტერესი ამ პროექტის მიმართ არ იყო, თუმცა გეოპოლიტიკურად ბევრი რამ შეიცვალა რუსეთ - უკრაინის ომის ფონზე, მათ შორის ევროკავშირშიც, 2024 წელი ამ პროექტისთვის გარდამტეხი იქნება. რახან ეს პროექტი უკვე იქცა ურთიერთდაინტერესების საგნად - ევროკავშირის ორი ქვეყანა პროექტის განხორციელებაში ჩართულია, ვიმედოვნებთ, რომ მას მიენიჭება განსაკუთრებული სტატუსი ევროკავშირის მხრიდან.

1. ევროპული ბაზარი - მითი თუ რეალობა?

დღეისათვის შავი ზღვის წყალქვეშა პროექტის ეკონომიკურ კვლევებს იტალიელი სპეციალისტები აწარმოებენ (GESI). საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სრულ მზადყოფნაშია და აწარმოებს მოლაპარაკებებს მსოფლიო ბანკთან. აზერბაიჯანული მწვანე ენერჯია გაივლის საქართველოს, შავ ზღვასა და რუმინეთს და გაიყიდება უნგრეთში. ბრიუსელი რუსულ ენერჯიაზე დამოკიდებულების დაძლევის სწორედ ამ პროექტით ცდილობს, ჩვენც ევროპული ბაზარი გვეხსნება და შესაძლებლობა გვეძლევა გავყიდოთ ჩვენში უხვად არსებული განახლებადი წყაროების ენერჯია.

ეს პროექტი საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების კუთხით, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. საქართველო საჭირო ხდება ევროპისთვის როგორც ტრანზიტული დერეფანი. აქამდე აზერბაიჯანიდან მოწოდებული გაზი და ნავთობი თურქეთის გავლით შედიოდა ევროპაში, მაგრამ ელექტროენერჯის გადაცემა (თანაც მწვანე გზით მიღებული) სხვა გამოწვევებს წარმოშობს.²

წყალუხვობის პერიოდში ჩვენმა ქვეყნამ 800 მილიონი კილოვატ საათის ელექტროენერჯია გაყიდა თურქეთში, იგივე ენერჯია რომ ევროპაში გაყიდულიყო სამჯერ მეტი თანხა შევიდოდა საქართველოს ბიუჯეტში.

² ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქ., „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი - გზა საქართველოს ეკონომიკური გაჯანსაღებისკენ“, საერთაშორისო კონფერენცია, 2023.

საქართველოს იმედი აქვს, რომ ამ პროექტს მწვანე შუქი აენთება, რადგან ევროკავშირმა გამოყო 2.3 მილიარდი დოლარი და თანაც ევროკავშირის ორი ქვეყანა - უნგრეთი და რუმინეთი ამ გზის ნაწილია.

საქართველო ჰიდრორესურსებით მდიდარი ქვეყანაა. 40 მლრდ.კვტ.სთ ჰიდროპოტენციალიდან ათვისებული ჯერ მხოლოდ 20 %-ია.

საქართველო ენერჯის კუთხით იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა. ზამთრის დეფიციტის დაფარვა სამი ქვეყნიდან - რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი - გვიწევს. ამიტომაც უნდა ავითვისოთ ადგილობრივი ენერჯის წყაროები და მოვხსნათ მოვხსნათ მეზობლებზე დამოკიდებულება.

ქვეყნის შედარებით მცირე ზომების, ბიზნესის წარმოების სიმარტივის მაღალი მაჩვენებლებისა და მოხერხებული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, გახდეს ენერჯეტიკული პროექტების სტარტაპების და საპილოტე პროექტების წამოწყების საუკეთესო ადგილი.

2. გენერაციის ადეკვატურობა

საქართველო ელექტროენერჯიას მაქსიმალური რაოდენობით ზამთრის თვეებში მოიხმარს. ამ პერიოდში მდინარეებზე წყალმცირობის პერიოდია და შესაბამისად, ჰესების გენერაციით ვერ ხერხდება მთლიანი მოთხოვნის უზრუნველყოფა. ამიტომ, საჭირო ხდება ელექტროენერჯის ან მისი თბოსადგურებით გამომუშავებისთვის საჭირო საწვავის იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდა.

ელექტროენერჯის მინიმალური მოთხოვნა ფიქსირდება გაზაფხულის პერიოდში, როცა ჰესების გენერაცია პირიქით, მაქსიმალურია და აღემატება მოხმარებას. ამ პერიოდში ანალოგიური ვითარებაა თურქეთის რესპუბლიკის საქართველოსთან მოსაზღვრე რეგიონშიც.

განახლებად ენერჯიებზე მომუშავე სადგურების, განსაკუთრებით კი სტრატეგიული მნიშვნელობის მარეგულირებელი ჰესების მშენებლობის ტემპები ვერ ეწევა მოხმარების ზრდის ტემპებს. ამიტომ იზრდება ელექტროენერჯის და მისი თბოსადგურების მიერ გენერაციისთვის საჭირო საწვავის იმპორტის წილი ელექტროენერჯის მოხმარების დაფარვაში. ამ ვითარებას ამძიმებს ქვეყანაში საკმარისი სტრატეგიული რეზერვების არ არსებობა, როგორც გენერაციის წყაროების ასევე გენერაციისთვის საჭირო საწვავის მარაგების სახით.

3. არატექნიკური გამოწვევები

მიუხედავად საქართველოს საკმაოდ მძლავრი სისტემათაშორისი ინფრასტრუქტურისა, ვერ ხორციელდება თურქეთის გავლით საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის ელექტროენერჯით ვაჭრობა. არ ხორციელდება დიდი სიმძლავრეების ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთისკენ, მიუხედავად არსებული მძლავრი გადამცემი ინფრასტრუქტურისა.

რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულია საქართველოს ორი რეგიონი: აფხაზეთი და სამაჩაბლო (ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“). აფხაზეთშია განლაგებული უდიდესი ქართული ელექტროსადგურის ენგურჰესის სამანქანო დარბაზი (კაშხალი არაოკუპირებულ ტერიტორიაზე). სამაჩაბლო თბილისიდან 40 კმ-ში, ხოლო აღმოსავლეთ-დასავლეთის

დამაკავშირებელი ენერგეტიკული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სულ რამდენიმე კილომეტრშია.

ენერგოსისტემაში ჩართულია კრიპტოვალუტების დიდი სიმძლავრის სერვერები. რომელთა მოხმარება დამოკიდებულია კრიპტოვალუტის ფასზე, რაც თავისთავად არაპროგნოზირებადია. ამიტომ სისტემის მოხმარების მოკლევადიანი (1 წლამდე) დაგეგმვაც კი რთულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული.

ქვეყანაში ფერხდება სტრატეგიული ობიექტების მშენებლობა, როგორც ჰესების, ასევე, გადამცემი ინფრასტრუქტურის მხრივ, რაც უშუალო უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. ფერხდება დაანონსებული თავისუფალი (და სხვა) ინდუსტრიული ზონებისა და ცენტრების მშენებლობის გეგმებიც, რის გამოც მათი ენერგომომარაგებისათვის განკუთვნილი ენერგობიექტების ნაწილი დაუტვირთავ რეჟიმში მუშაობს (მაგ.: ქ/ს ხორვა), რაც სისტემას ზედმეტ ტვირთად აწევს.

ხორციელდება ელექტროენერგეტიკული ბაზრის დანერგვა, რაც მოითხოვს ხარისხობრივად მცირე დროის შუალედებში რეაგირების საჭიროებას ენერგოსისტემის მართვის ეროვნული ცენტრიდან და ელექტროენერგეტიკული პროდუქტების მიმწოდებლებისგან.

4. სიძლიერის განმაპირობებელი ფაქტორები

ქვეყნის ელექტროენერჯის ჯამური წარმოების 75-80%-ს ჰესები უზრუნველყოფენ, რომელთაგან ნახევარზე მეტი მარეგულირებელი ჰესებია, რაც პიკური სიმძლავრეების დაფარვის შესაძლებლობას იძლევა.

სასისტემო მნიშვნელობის ყველა 500/400/330/220 კვ ქვესადგური განახლებულია და უზრუნველყოფილია მათი გამართული ფუნქციონირება.

სისტემის აღმოსავლეთ ნაწილის 500 კვ ელექტრულ ქსელს რგოლის სახე აქვს. რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ამ ნაწილში ნებისმიერი ხაზის დაკარგვა არ იწვევს მოხმარებლებისთვის ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტას.

ელექტროენერგეტიკული სისტემა აღჭურვილია თანამედროვე და საიმედო მართვის, დაცვისა და ავტომატიკის სისტემებით.

ელექტროენერგეტიკულ სფეროში ინოვაციების დანერგვასა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაში საქართველო ლიდერია კავკასიის რეგიონში. ასევე, ლიდერია პროფესიონალების ახალი თაობის ზრდასა და ამ თაობის მიერ მოწინავე პოზიციების დაკავების მხრივ.

საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სისტემას ტექნიკურად შესწევს უნარი სინქრონული პარალელური მუშაობა ერთდროულად განახორციელოს რუსეთის და აზერბაიჯანის სისტემებთან, რაც მკვეთრად აამაღლებს ჩვენი სისტემის საიმედოობას და მდგრადობას. ამ ქვეყნებს შორის ნებისმიერი სისტემათაშორისი კავშირის დაკარგვის მიუხედავად, მოხდება საქართველოს (ასევე აზერბაიჯანის) მყისიერი დაბალანსება IPS/UPS (დსთ-ბალტია-უკრაინა) სინქრონული ზონიდან. ამ შესაძლებლობის რეალიზება შესაძლებელი იქნება საქართველო-რუსეთი-აზერბაიჯანი სისტემების რგოლში წარმოქმნილი მაცირკულირებელი სიმძლავრეების რეგულირების შემთხვევაში.

საქართველოს აქვს შესაძლებლობა, ტექნიკურად შესაძლო მცირე დროში (ახალციხის ქვესადგურში შესაბამისი ავტოტრანსფორმატორების დაყენების შემთხვევაში) მიუერთდეს

5. ძირითადი რისკები და საფრთხეები

აღსანიშნავია საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირების შემდეგი ძირითადი რისკები:

- ენგურჰესის დაკარგვა. ეს საშიშროება მომდინარეობს ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონიდან, სადაც მდებარეობს ენგურჰესის სამანქანო დარბაზი (ენგურის კაშხალი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე).
- გაზსადენის მწყობრიდან გამოსვლა, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ტექნიკური გაუმართაობის ან დივერსიის შემთხვევაში. ამ რისკის დადგომა, განსაკუთრებით ზამთარში, გამოიწვევს თბოელექტროსადგურების ფუნქციონირების შეწყვეტას.
- დივერსია აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ რომელიმე 500 კვ ძაბვის ეგხ-ზე (კორიდორზე). აღნიშნული რისკის დადგომა ხიფათის შემცველი შეიძლება იყოს წყალუხვობის პერიოდში, როდესაც ეს მაგისტრალი დატვირთულია.
- მუდმივი დენის გარდამსახებისა და არასტაბილური გამომუშავების წყაროების წილის ზრდა ენერგოსისტემაში. ასეთ წყაროებს არ გააჩნია ინერცია, შესაბამისად, მათი წილის გაუმართლებელი ზრდა საქართველოს ენერგოსისტემაში მნიშვნელოვნად გააღრმავებს ინერციის პრობლემას.
- ელექტროენერჯის მოხმარების მკვეთრი ზრდა, რაც შეიძლება მოხდეს შიგაწვის ძრავიანი მანქანების ელექტრომანქანებით ინტენსიური ჩანაცვლების შედეგად.
- კრიპტოვალუტების ფასების ძლიერი ცვალებადობა, რაც იწვევს ელექტროენერჯის მოხმარების ასევე მკვეთრ ცვლილებას, რაც გაართულებს ენერგოსისტემის როგორც მოკლე, ასევე, გრძელვადიან დაბალანსებას.
- პროსუმერები და ავტონომიური მომხმარებლები სინქრონიზირებულია ძირითად სისტემასთან, თანაც გააჩნია საკუთარი გენერაციის წყარო, ჩვეულებრივ მცირე სიმძლავრის ქარის ან მზის სადგურების სახით. შტორმების ან ამინდის მკვეთრი ცვალებადობის შემთხვევაში ხდება გენერაციის ამ წყაროების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის მკვეთრი ცვალებადობა, რაც სისტემაში ელექტროენერჯის მნიშვნელოვან უბალანსობას იწვევს.
- დედამიწის გლობალური კლიმატის ცვლილების შედეგად სულ უფრო და უფრო მეტად აქვს ადგილი ანომალურ ტემპერატურებს (გრძელი ზაფხული, თბილი ზამთარი, უაღრესად ცივი ან ცხელი შემოდგომის და გაზაფხულის დღეები). ამასთან,

მდინარეების ჰიდროლოგიაც სულ უფრო არაპროგნოზირებადი და ქაოტური ხდება, რაც აისახება ჰიდროსადგურების გენერაციაზე.

- კრიტიკული ბუნებრივ-კლიმატური მდგომარეობის (შტორმი, ყინულმოცვა, ზვავი, მეწყერები, ძალიან მაღალი ან ძალიან დაბალი ტემპერატურა) დროს შესაძლებელია ერთი ან, რიგ შემთხვევებში, რამდენიმე ელექტროგადამცემი ხაზის მწყობრიდან გამოსვლა.
- ლარის გაუფასურება, მეზობელი ქვეყნების ვალუტების გაუფასურების გამო. ინვესტიციები, ისევე, როგორც ანგარიშსწორება იმპორტირებული ენერგორესურსებზე, საქართველოში ძირითადად აშშ დოლარსა და ევროში ხორციელდება. ამიტომ ლარის გაუფასურება იწვევს ელექტროენერჯისა და თბოელექტროსადგურების ძირითადი საწვავი რესურსის - ბუნებრივი გაზის ღირებულების ზრდას. გარდა ამისა, ვალუტის გაუფასურება მძიმე ტვირთად აწვება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, აგრეთვე, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ (თეს-ებისათვის ბუნებრივი გაზის ძირითადი მიმწოდებელი), რომელთა დაფინანსება უცხოური საფინანსო ინსტიტუტებიდან ევროსა და დოლარში ხორციელდება.
- კიბერშეტევები ენერგოსისტემის მართვის სისტემებზე.

6. განვითარების სტრატეგიული მიმართულებები

6.1. მიწოდების უსაფრთხოების ამაღლება

ელექტროენერგეტიკული სისტემის მიწოდების უსაფრთხოების შესაფასებლად გამოიყენება ორი კრიტერიუმი:

- გენერაციის ადეკვატურობა – გენერაციის წყაროების უნარი, უწყვეტად დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე, როგორც ქსელის ელემენტის გეგმიური, ასევე, მოულოდნელი გათიშვის პირობებში;
- ქსელის საიმედოობა - გადამცემი ქსელის უნარი შეზღუდვისა და ელექტროენერჯის ხარისხის გაუარესების გარეშე უზრუნველყოს მომხმარებლების კვება ნებისმიერი ერთი ელემენტის დაკარგვის პირობებში.

ელექტროენერჯის მოხმარება ქვეყანაში სტაბილურად იზრდება წლიურად 5-7%-ის ფარგლებში, ხოლო გენერაციის ობიექტების, განსაკუთრებით, წყალსაცავიანი სტრატეგიული ჰესების, მშენებლობა ფერხდება, რაც მნიშვნელოვან გამოწვევებს განაპირობებს.

მდგომარეობის გამოსასწორებლად, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში განხორციელდება სისტემაში გაზზე მომუშავე მაღალეფექტური კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურების ინტეგრირება, ასევე, მზისა და ქარის სადგურების მშენებლობა, სისტემის საიმედოობის ფარგლებში.

გრძელვადიან პერსპექტივაში სისტემაში ჩაირთვება სტრატეგიული დანიშნულების წყალსაცავიანი ჰესები.

ქსელის საიმედოობის უზრუნველსაყოფად, საუკეთესო ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, საქართველოს გადამცემი სისტემის ოპერატორი (სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“) ყოველწლიურად ამუშავებს, ხოლო ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების სამინისტრო ამტკიცებს საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიან გეგმას (სურათი 1).



სურ. 1. საქართველოს ელექტრული ქსელის განვითარების მამოძრავებელი ძალების რუკა


- პერსპექტიული მარეგულირებელი ჰესები
- პერსპექტიული სეზონური ჰესები
- პერსპექტიული დატვირთვის მატება
- თბოსადგურების სატრანზიტო გაყვანა
- ახალი კომბთბოსადგურები O არსებული გენერაციის რეგიონი
- არსებული მძლავრი მოხმარების რეგიონი
- ⇔ სისტემათაშორისი კავშირის გაძლიერების აუცილებლობა
- ⇔ შიგასასისტემო კავშირის გაძლიერების აუცილებლობა
- ⇔ კონტინენტთაშორისი ვაჭრობის შესაძლებლობა

6.2. ევროპულ ენერგოსისტემებთან ინტეგრირების პროცესი

საქართველო ევროპული ენერგეტიკული გაერთიანების წევრია, რაც ხელს უწყობს მეზობელი ქვეყნების საქართველოსთან სისტემათაშორისი ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის გაძლიერების პროექტების სტიმულირებას და ზრდის საქართველოს სატრანზიტო პოტენციალს. ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანება იქნება მეზობელ ქვეყნებთან არსებული არატექნიკური გამოწვევების დაძლევის საწინდარი. გარდა ამისა, ევროპული მხარდაჭერა შეარბილებს ოკუპირებულ რეგიონებთან დაკავშირებულ რისკებს. ევროპული სტრუქტურების წევრობა თავისთავად ნიშნავს საუკეთესო სტანდარტების დანერგვასა და ელექტროენერგეტიკული სტრუქტურის მუდმივ განვითარებას.

მიმდინარეობს მუშაობა ENTSO-თან თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსით გაწევრიანება.

6.3. ენერგეტიკული რესურსების ათვისება



საქართველოში დადგენილი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ეკონომიკურად გამართლებული ნაწილის მხოლოდ 20%-მდეა ათვისებული.

ქვეყანა, რომელიც ცდილობს გახდეს ენერგოდამოუკიდებელი და ამისათვის გააჩნია ყველანაირი შესაძლებლობა, არ იყენებს არსებულ ჰიდრორესურსს, უარს ამბობს არამარტო მცირე ენერგეტიკული პოტენციალის მქონე მდინარეების ათვისებაზე, არამედ ქვეყნის ყველაზე წყალუბვი და ენერგეტიკულად გამორჩეული მდინარის - რიონის პოტენციალის ელექტრულ ენერჯიად გარდაქმნაზე. მდინარე რიონის ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების თვალსაზრისით, სტრატეგიულად გამორჩეულ ობიექტად მიჩნეულია სოფელი ნამოხვანი. ნამოხვანჰესის პროექტი შეჩერებულია, რადგან თურქ ინვესტორთან მოლაპარაკებები ჩაიშალა.

საქართველოს ენერგეტიკა თითქმის 80%-ით არის დამოკიდებული ჰესების მიერ გამომუშავებულ ენერჯიაზე. დეფიციტი, რაც დღეს აქვს ქვეყანას, არის დაახლოებით მილიარდ ექვსასი მილიონი კვტ.სთ და თუ პროექტების ბლოკირება გაგრძელდა, ეს დეფიციტი წლიდან წლამდე გაიზრდება. პროექტები, როგორცაა ხუდონჰესი, ნამოხვანის ჰესების კასკადი და ა.შ., აუცილებელია განხორციელდეს, რადგანაც ეს არის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ არსებული დეფიციტის დაფარვას, ენერგოსისტემის მდგრად მუშაობას და ენერგოუსაფრთხოების ხარისხს. (იხილეთ დიაგრამა 1).³

დიაგრამა 1. ელექტროენერჯის წარმოება - მოხმარება 2022-2031 წლებში

6.4. ენერჯის ცვალებადი - განახლებადი წყაროები

საქართველოში წელიწადის 365 დღიდან საშუალოდ 280 მზიანია. მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 2200 სთ-ს შეადგენს.

არსებული შეფასებით, საქართველოში ქარის ენერგეტიკული რესურსი 4 მლრდ კვტ.სთ-ს შეადგენს, რომლიდან მხოლოდ 2%-მდეა ათვისებული. მზის ენერგეტიკული რესურსი ოპტიმისტური შეფასებით დაახლოებით 1 მლრდ.კვტ.სთ-ია, რომლის ათვისება 1%-ზე ნაკლებია.

³ ჩომახიძე დ, ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ, საქ.ტექ.უნივ. ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი, „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“ - რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი №1(3). თბილისი, 2023.

მზისა და ქარის ენერჯის უტილიზაციის ობიექტების აშენება შედარებით მცირე დროს მოითხოვს, ჰესების მშენებლობასთან შედარებით, თუმცა, დღე-ღამისა და უფრო ხანმოკლე პერიოდებში ამ წყაროების ბაზაზე დაფუძნებული გენერაცია ძლიერ ცვალებადია და ენერჯის სისტემის დასტაბილურებისათვის სისტემის რეზერვების მობილიზაციას საჭიროებს.

ქარისა და მზის გენერაციის ქსელში საიმედო ინტეგრაციის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მათი გამომუშავების ზუსტი პროგნოზირება, რაც ააცილებს სისტემას ზედმეტი რეზერვების მობილიზების საჭიროებას. შესაბამისი ერთიანი პროგნოზირების სისტემის დასაწესებლად დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით დაწყებულია მუშაობა.

გარდა ამისა, დონორების ფინანსური მხარდაჭერით, დაგეგმილია საქართველოს ენერჯის სისტემაში ენერჯის შემნახველი წყაროების, მათ შორის დამაგროვებელი ბატარეების და ჰიდრომაკუმულირებელი სადგურების, ინტეგრაციის შესწავლის დასრულება 2024 წლისთვის, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ქარისა და მზის სადგურების შესაძლო მაქსიმალური ინტეგრაცია ქვეყნის ელექტრომომარაგების სისტემაში.

ქარის ელექტროსადგურებისთვის ყველაზე ხელსაყრელი ტერიტორიები მდებარეობს კავკასიის მაღალმთიან ზონაში, რიკოთის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიაზე (მთა საბუეთი), ჯავახეთის ზეგანზე და ქვეყნის შავი ზღვისპირეთის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილებში.

გეოთერმული წყლები დღეისათვის ძირითადად პრიმიტიული საყოფაცხოვრებო ან სოფლის მეურნეობის (სათბურებში) მიზნებისათვის გამოიყენება. ქვეყნის ენერჯეტიკულ ბალანსში გეოთერმული ენერჯის წილი მეტად უმნიშვნელოა. ამ რესურსებით ყველაზე მდიდარი მხარე სამეგრელოა. თბილისში კი იმ რაოდენობის გეოთერმალური წყლებია, რომ თავისუფლად შეიძლება ორი გეოთერმალური აშენება ლისის ტბის მიმდებარედ და ძველ უბანში ჭრელ აბანოებთან, რითაც თბილისი „მწვანე“ ქალაქი გახდებოდა.

დასკვნა

2030 წლამდე საქართველოს აქვს შესაძლებლობა 1331 მგვტ სიმძლავრის ქარის და 520 მგვტ მზის ელექტროსადგურების ჩართვა მოახდინოს ელექტროენერჯეტიკულ ქსელში. რაც შეეხება ჰიდრორესურსებს, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ის გამოისყიდის ხუდონჰესის პროექტს 13,5 მილიონ დოლარად და თვითონ განახორციელებს ნამოხვანის პროექტსაც. მაშინ ნამდვილად შეგვეძლება ვთქვათ, რომ შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი საქართველოს ეკონომიკური სიძლიერის უმნიშვნელოვანესი გარანტი გახდება და ქვეყანა სატრანზიტო დერეფნიდან ექსპორტიორ აქტორად და ენერჯეტიკულ ჰაბად გადაიქცევა აზიასა და ევროპას შორის.

ბიბლიოგრაფია

1. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევანი „არატრადიციული ენერგო-რესურსების მენეჯმენტი და მათი ათვისების პროგრამის დამუშავება საქართველოში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მეცნიერება პრაქტიკისა და განვითარებისათვის“, ბაქო, აზერბაიჯანი, 2019;
2. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევანი „ენერგოეფექტურობა - ქვეყნის თანამედროვე განვითარების ქვაკუთხედი“, III საერთაშორისო კონფერენცია „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“. თბილისი, საქართველო, 2019;
3. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევანი „საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების ანალიზი და შუქრდილები (შედეგები)“, II საერთაშორისო სამეცნიერო - ტექნიკური კონფერენცია „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“, თბილისი, საქართველო, 2020;
4. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევანი „ენერგოეფექტურობა – ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2021;
5. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევანი „ენერჯის ცვალებადი განახლებადი და არატრადიციული წყაროები“. VIII საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენცია, „თანამედროვე სამეცნიერო კვლევის აქტუალური ტენდენციები“, 2021;
6. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევანი „თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე - ენერგეტიკის სექტორი“. საერთაშორისო მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე“. კვიპროსი (ლარნაკა). 2023;
7. ჩომახიძე დემური, ვეზირიშვილი-ნოზაძე ქეთევანი „ენერგეტიკის განვითარების ტენდენციები, გამოწვევები და პერსპექტივა“, სტუ. „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“ - რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი №1(3), ISSN 2720-7919, ი. ჟორდანას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი, თბილისი, 2023;
8. ვეზირიშვილი-ნოზაძე, ქეთევანი „შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი - გზა საქართველოს ეკონომიკური გაჯანსაღებისკენ“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-7-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“, გამომცემლობა:მერიდიანი“, თბილისი, 2023;
9. ჩომახიძე, დემურ „საქართველოს ენერგეტიკა ციფრებში“, გამომცემლობა: „დანი“, თბილისი, 2021;
10. ჩომახიძე დემურ, ჩომახიძე ხათუნა, ჩომახიძე ირაკლი „ენერგეტიკის მენეჯმენტის თავისებურებები და პრინციპები“, გამომცემლობა: „დანი“, თბილისი, 2020;
11. ბ.ჩხაიძე. საქართველოს ტყის მერქნის რესურსების ენერგეტიკული პოტენციალი, სტუ, 2012;

12. ჩომახიძე დ., ვეზირიშვილი-ნოზაძე კ., მეცნიერება-ტექნიკური უნივერსიტეტი, ი. ჟორდანიას სახლი საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების კვლევის ცენტრი, „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“ - რეფერენტი და რეფერენტი. სამეცნიერო ჟურნალი No1(3). თბილისი, 2023;
13. Ketevan Vezirishvili-nozadze, Elene Pantskhava, Tamar Kanashvili, European "Green Agreement" and its impact on the energy sector of Georgia, „Vectors of Social Science“ 3, 2022 <https://doi.org/10.51895/VSS3/Vezirishvili-nozadze/Pantskhava/Kanashvili>;
14. Ketevan Vezirishvili-Nozadze - "Black Sea Submarine Cable - Road to Georgia's Economic Recovery".

ევროინტეგრაცია და შრომის სამართლის რეფორმა საქართველოში, მიღწევები და გამოწვევები

ბექა ფერაძე

დოქტორანტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომი აღწერს საქართველოში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სამართლებრივი ჰარმონიზების გზას და ეყრდნობა იმ ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომელიც საქართველომ შრომის კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში მიიღო. პროცესებზე სრული სურათის წარმოსადგენად აღწერილია რადიკალური რეფორმის ტალღები, რომელიც საქართველოში 2006 წლიდან დაიწყო და გაანალიზებულია აღნიშნულის შედეგად გამოწვეული შედეგები. ნაშრომი მიზნად ისახავს მოახდინოს ევროინტეგრაციის გზაზე განხორციელებული რეფორმების ანალიზი და შეაფასოს ის შედეგები და გამოწვევები რომლის წინაშეც ევროინტეგრაციის გზაზე მყოფი საქართველო დგას. ნაშრომი, ასევე, წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების მიმართულებით საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი და საზოგადოების ინფორმირების მნიშვნელობა, როგორც ერთგვარი გასაღები გატარებული ღონისძიებების ეფექტურად აღსრულების გზაზე.

საკვანძო სიტყვები: შრომის უსაფრთხოება, შრომის კანონმდებლობა, შრომის ნორმები, შრომის სამართალი, ევროინტეგრაცია, ასოცირების ხელშეკრულება, ღირსეული შრომის კულტურა, შრომის უსაფრთხოების კულტურა.

შესავალი

საქართველოში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სამართლებრივი ჰარმონიზება ევროპულ სამართალთან ბოლო დეკადაში ეფექტურად მიმდინარეობს, რომელსაც საფუძვლად ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება უდევს, რომლის „თანამშრომლობის სხვა სფეროები“ VI კარის, „დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები“-ს მე-14 თავის 354-ე მუხლის შესაბამისად XXX დანართით განსაზღვრულია სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიმართულებით 26 დირექტივა და მათი შესაბამისი იმპლემენტაციის ვადები, რომლის ათვლაც სწორედაც, რომ ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან, 2014 წლის 1 სექტემბრიდან იწყება.¹

მნიშვნელოვანი და ამავდროულად საწყისი, პროგრესული ნაბიჯები ამ მხრივ ჯერ კიდევ 2015 წელს გადაიდგა, როდესაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი. მას შემდეგ ქვეყანაში დაიხვეწა და ჩამოყალიბდა სამუშაო ადგილებზე შრომის პირობების მონიტორინგისა და ინსპექტირების სისტემა. თანმიმდევრული ნაბიჯები გადაიდგა დამსაქმებლებისა და

¹ ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, 30.8.2014: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)) [უ. გ. 12.03.2024].

დასაქმებულების ცნობიერების ამაღლების კუთხით, რამაც ხელი შეუწყო სამუშაო ადგილებზე შრომითი ნორმების დაცვის სისტემების განვითარებას.²

უმნიშვნელოვანესი რეფორმა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გატარდა 2018 წელს, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. კანონი ნაწილობრივ შესაბამისობაში მოვიდა ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრულ ჩარჩო დირექტივასთან - 1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, პირველ ეტაპზე მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებზე ინსპექტირების განხორციელების სავალდებულო მანდატს აწესებდა, ხოლო 2019 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, შრომის უსაფრთხოების კანონს უკვე ორგანული კანონის სტატუსი მიენიჭა, რაც იმას ნიშნავს, რომ 2019 წლის 1 სექტემბრიდან შრომის უსაფრთხოების სტანდარტები კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა ევროკავშირის ქვეყნებში დადგენილ სტანდარტს, გაფართოვდა შრომის ინსპექციის მანდატი და გავრცელდა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე, შრომის ინსპექციის დეპარტამენტი უფლებამოსილი გახდა დღე-ღამის ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განხორციელებინა სამუშაო სივრცის ინსპექტირება, მოკვლევა და შემოწმება, შრომის უსაფრთხოების ნორმების ეფექტიანი აღსრულების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ცვლილებები და ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ეტაპობრივი აღსრულება დადებითად იქნა შეფასებული ევროკომისიის მიერ.³

გარდა ჩარჩო დირექტივის საქართველოს კანონმდებლობაში ასახვისა, 2023 წლის მდგომარეობით შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ასოცირების ხელშეკრულების xxx დანართით განსაზღვრულ ევროდირექტივების შესაბამისად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) სამოქმედო გეგმებისა და წლიური ანგარიშების ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მაჩვენებელი გაუტოლდა 31%-ს, ხოლო ჯამში ჰარმონიზების მიზნით მომზადებული დირექტივების რაოდენობამ 62 %-ს მიაღწია.⁴

აქვე ხაზგასასმელია, ის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც 2020 წელს შრომის კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა. ამასთანავე მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“, რამაც საფუძველი ჩაუყარა საჯარო სამართლის იურიდიული პირის შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნას. 2021 წლის პირველი იანვრიდან სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურს მიენიჭა სრული მანდატი შრომით ნორმებზე ზედამხედველობის კუთხით. უწყება უფლებამოსილი გახდა განხორციელებინა კონტროლი, როგორც შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე, ასევე დასაქმებულთათვის შრომითი უფლებების უზრუნველყოფაზე რაც, შრომის კოდექსში განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ცვლილებების შედეგია. ზემოაღნიშნული რეფორმის შედეგად, სამსახური ჩამოყალიბდა უწყებად, რომელსაც აქვს

² შრომის ინსპექციის წლიური საქმიანობის ანგარიშების ანალიზი: <https://lio.moh.gov.ge/report.php?lang=1&id=2> [უ.გ. 12.03.2024].

³ COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, Brussels, 8.11.2023: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf [უ. გ. 12.03.2024].

⁴ DCFTA implementation, Action plans and Annual Reports: <https://dcfta.gov.ge/en/implimentation> [უ. გ. 12.03.2024].

უფლებამოსილება დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში ჩაატაროს ინსპექტირება შრომითი ნორმების შესრულებაზე, როგორც პრევენციული, ასევე, მაკონტროლებელი მექანიზმების გამოყენებით „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შრომითი უფლებების დარღვევის შემთხვევებზე. გაზრდილი მანდატის ფარგლებში შრომის ინსპექციის სამსახურს მიეცა სრული მანდატი ზედამხედველობა განხორციელოს ისეთ სენსიტიურ საკითხებზე, როგორცაა პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია, სექსუალური შევიწროება, იძულებითი შრომა და შრომითი ექსპლუატაცია, შრომითი მედიაციით მიღწეული შეთანხმებების აღსრულება და სხვა კანონმდებლობით გარანტირებული ის ფუნდამენტური შრომითი უფლებები, რომელთა განუხრელად დაცვა უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას.⁵

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოში შრომის პირობებზე საზედამხედველო სისტემა ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კვალდაკვალ დაუახლოვდა შრომის საერთაშორისო ნორმებს, კერძოდ კი შრომის ინსპექციის შესახებ 81-ე კონვენციას, რომელიც ერთ-ერთია პრიორიტეტულ კონვენციათა შორის და რომლის რატიფიცირებისკენ მოუწოდებს ევროკავშირი საქართველოს სხვა მნიშვნელოვან კონვენციებთან ერთად (მათ შორის, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ფუნდამენტური კონვენციის (C155) და იძულებითი შრომის კონვენციის პროტოკოლის (P29)).⁶

შრომის ინსპექციის მანდატის ზრდასთან ერთად გაზრდილი პროაქტიული თუ რეაქტიული აქტივობების შედეგად 2022 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 2018 წელთან შედარებით, ანუ მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, შემცირდა 41%-ით.⁷

მიუხედავად ქვეყნის მიერ გადადგმული მრავალი წარმატებული ნაბიჯისა კვლავ გამოწვევად რჩება რიგი საკითხები შრომის პირობების, მათ შორის, შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით, რაც ქვეყანაში 2006 წლიდან 2015 წლამდე შრომის პირობებზე საზედამხედველო სისტემის მოშლასა და რიგი ნორმების/ტექნიკური რეგლამენტების გაუქმებას მოჰყვა, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა შრომის უსაფრთხოების კულტურა საქართველოში.

1. შრომის სამართლის რეფორმა და მიღწეული შედეგები

შრომის სამართალმა ბოლო ორი დეკადის განმავლობაში სხვადასხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების ტალღა განიცადა, მათ შორის, აღსანიშნავია შემდეგი ეტაპები:

- სახელმწიფო დერეგულირების პოლიტიკის ფარგლებში 2006 წელს განხორციელებული ცვლილებები;
- შრომის სამართლის ისტორიული განვითარების ეტაპი-2013 წელი;

⁵ „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“.

⁶ COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, Brussels, 8.11.2023: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf [უ. გ. 12.03.2024].

⁷ შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაშავებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა: <https://lio.moh.gov.ge/stat.php?lang=1&id=202212271826086439640835> [უ. გ. 12.03.2024].

- 2017-2023 წლის შრომის სამართლის ინტენსიური განვითარების/განახლების ეტაპი.


1.1. სახელმწიფო დერეგულირების პოლიტიკის ფარგლებში 2006 წელს განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა

2006 წელს შრომის კანონმდებლობაში ნეოლიბერალური რეფორმების განხორციელება დაიწყო. სახელმწიფო დერეგულირების პოლიტიკის ფარგლებში გაუქმდა სხვადასხვა სახედამხედველო უწყება. მათ შორის შრომის ნორმების აღსრულებაზე სახედამხედველო სისტემაც. მისმა გაუქმებამ მნიშვნელოვნად გააუარესა დასაქმებულთა შრომითი უფლებები. შრომით ურთიერთობებში დაირღვა ბალანსი არსებულ მხარეებს შორის. კერძოდ დასაქმებულები დამსაქმებლებთან შედარებით არახელსაყრელ და უთანასწორო პირობებში აღმოჩნდნენ. აღნიშნული ნეოლიბერალური ეკონომიკური მიდგომებით, ჩაურევლობისა და ბაზრის „უხილავი ხელის“ მართვის მეთოდების არჩევით კი ის შედეგი დადგა რომ ქვეყანა წინააღმდეგობაში მოვიდა შრომის საერთაშორისო ნორმებთან და ევროპის სოციალური ქარტიის ძირითად პრინციპებთან.⁸ 2006 წელს მიღებული ახალი შრომის კოდექსი ფართოდ განიხილებოდა, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცალმხრივი კოდექსი რომელიც დასაქმებულებს ყოველგვარი დაცვის მექანიზმების გარეშე ტოვებდა, არღვევდა და ეწინააღმდეგებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) ფუნდამენტურ პრინციპებს,⁹ რომლის წევრი საქართველო 1993 წლიდან გახლავთ. შრომითი ურთიერთობების შრომითი ხელშეკრულებით დარეგულირების პრინციპების მოშლით, მათ შორის, სამუშაო დროის, ზეგანაკვეთური შრომისა და შრომის ანაზღაურების, ღამის სამუშაოზე დასაქმებულთა დაცვის მექანიზმებისა და სახედამხედველო სისტემის გაუქმებით¹⁰ მოჰყვა აბსოლუტურად განსხვავებული შედეგები იმ იდეოლოგიურ მიდგომებთან შედარებით, რომელსაც მოიაზრებდა იმდროინდელი ლიბერალური ხედვა. აღნიშნულმა გადაწყვეტილებებმა, გარდა იმისა, რომ მნიშვნელოვნად შეაფერხა ევროინტეგრაციული პროცესები, ასევე მნიშვნელოვნად დააზარალა ღირსეული შრომისა და მათ შორის, უსაფრთხოდ შრომის კულტურა, სტაბილურად იზრდებოდა უმუშევრობის დონე (იხ. დიაგრამა N1), რამაც დროთა განმავლობაში სიღარიბის დონის მატება და სოციალურად არასტაბილური გარემო შექმნა. 2012 წელს სახელისუფლებო ცვლილებების შედეგად, გადახედილ იქნა ზემოაღნიშნული მიდგომები. ახალი მთავრობის შეცვლილი პოლიტიკა გულისხმობდა მეტ ბალანსს. ასევე უფრო მეტად ცენტრისტულ და სოციალურ მიდგომებზე დაფუძნებული ხედვებით ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და სვლას ევროინტეგრაციის გზაზე.

⁸ Commission staff working document accompanying the Communication from the Commission to the European Parliament and the Council - Implementation of the European Neighbourhood Policy in 2008 - Progress Report Georgia: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:52009SC0513> [უ.გ. 12.03.2024].

⁹ Jobelius, M., Economic Liberalism in Georgia. A challenge for EU convergence and trade unions, 2011: <https://library.fes.de/pdf-files/id/08135.pdf> [უ.გ. 12.03.2024].

¹⁰ Shvelidze, Z., Transition from Soviet to Liberal Law. Labour Standards in Georgia, 2012: https://adapt.it/contributions_6.pdf [უ.გ. 12.03.2024].



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

1.2. შრომის სამართლის ისტორიული განვითარების ეტაპი-2013 წელი

საქართველოში 2010 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად შრომის კოდექსის სტატუსის ცვლილებას და მის საქართველოს ორგანულ კანონად ფორმირებას, მოჰყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები 2013 წელს, რომელიც განპირობებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დაფიქსირებული იმ უმნიშვნელოვანესი ხარვეზების გაქდერებითა და რეკომენდაციებით, რომელიც სწორედ, რომ 2013 წლამდე მოქმედ შრომის კოდექსს, როგორც დამსაქმებლის ინტერესსა და პრიორიტეტებზე მორგებული ნორმატიული დოკუმენტს მოჰყვა თავისი დისპოზიციური ხასიათიდან გამომდინარე¹¹.

2013 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებისა და ექსპერტული მხარდაჭერის, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შესაბამისად მომზადდა, ახლებურად განვითარდა დასაქმებულთა ინტერესების დაცვის მიზნით სამართლებრივი ჩარჩო, თუმცა ამავდროულად გარკვეული დოზით შეიზღუდა დამსაქმებლის ინტერესები და დომინანტური პოზიცია შრომით ურთიერთობებში¹².

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრა შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობები და მათი შეცვლის შესაძლებლობა მხარეთა თანხმობით, დასაქმებულის (კანდიდატის) ინფორმირების ვალდებულება შესასრულებელი სამუშაოს თაობაზე, შრომითი ხელშეკრულების ფორმა და ვადა, ვადიანი და უვადო ხელშეკრულების საფუძვლები, სამუშაო დროის ხანგრძლივობა და ზეგანაკვეთური სამუშაო, მათ შორის,

¹¹ შველიძე, ზ., თავი I, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017 წელი. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/publication/wcms_627047.pdf [უ. გ. 12.03.2024].
¹² სანიკიძე, ზ., საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წლის 4 ივლისს განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა, 2014: https://lawlibrary.info/ge/books/giz2014-ge-shromis_cvlilebebi.pdf [უ. გ. 12.03.2024].

სამუშაო დრო სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე საწარმოებისთვის და სხვა. ცვლილებებით ახლებურად განისაზღვრა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და შეწყვეტის წესი. ასევე, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღებისა და ანაზღაურების საკითხები. კოლექტიური და ინდივიდუალური შრომითი დავების განხილვისა და გადაწყვეტის წესის მარეგულირებელი ნორმები.¹³

აღნიშნული რეფორმით 2013 წლამდე მოქმედი შრომის კოდექსის უმნიშვნელოვანესი ნაკლოვანება - დისბალანსი შრომით ურთიერთობებსა და დისპოზიციური დათქმები შრომით ნორმებში გარკვეულწილად დარეგულირდა და ხელი შეუწყო დაბალანსებული შრომითი ურთიერთობების საფუძვლების შექმნას. აღნიშნული ცვლილებებით, შესაძლოა დავასკვნათ, რომ საქართველომ დაიწყო ღირსეული შრომის პრინციპების აღმშენებლობა.

1.3. 2018 - 2023 წლის შრომის სამართლის ინტენსიური განვითარების/განახლების ეტაპები

უმნიშვნელოვანესი ცვლილება შრომის კანონმდებლობაში განხორციელდა 2018 წელს, როდესაც „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი იქნა მიღებული მესამე მოსმენით, რომელიც პირველ ეტაპზე მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებზე გავრცელდა, ხოლო 2019 წელს მიღებული ცვლილებების შედეგად, შრომის უსაფრთხოების კანონს ორგანული კანონის სტატუსი მიენიჭა, ამასთანავე გაფართოვდა კანონის მოცვა და გავრცელდა ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე. აღნიშნული ცვლილებებით, 2019 წლის 1 სექტემბრიდან შრომის უსაფრთხოების სტანდარტები კიდევ უფრო მეტად დაუახლოვდა ევროკავშირის ქვეყნებში დადგენილ სტანდარტს, გაფართოვდა შრომის ინსპექციის მანდატი, შრომის პირობებზე საზედამხედველო უწყება (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი, რომელიც 2015 წლიდან შეიქმნა შრომის პირობების ინსპექტირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სარეკომენდაციო ხასიათის მანდატით) უფლებამოსილი გახდა დღე-ღამის ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განეხორციელებინა სამუშაო სივრცის ინსპექტირება, მოკვლევა და შემოწმება, შრომის უსაფრთხოების ნორმების ეფექტიანი აღსრულების უზრუნველსაყოფად.¹⁴

გარდა ამისა, შრომის ნორმების დახვეწისა ზედამხედველობის ეფექტურად განხორციელების მიზნით 2020 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „შრომის ინსპექციის შესახებ“, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელი საზედამხედველო უწყების შექმნას შრომის ინსპექციის სამსახურის სახით, რომელიც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით ფუნქციონირებს 2021 წლიდან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განიცადა და მნიშვნელოვნად დაიხვეწა ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული დირექტივების შესაბამისად შრომის უსაფრთხოების ნორმები, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა რიგი ნორმატიული აქტები, მათ შორის:

- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 ივლისის № 341 დადგენილებით განისაზღვრა სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, სადაც სრულად ასახულია 1989 წლის

¹³ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 2017 წლამდე მოქმედი რედაქცია.

¹⁴ შრომის ინსპექციის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში: <https://lio.moh.gov.ge/report.php?lang=1&id=2> [უ. გ. 12.03.2024].

30 ნოემბრის საბჭოს 89/654/EEC დირექტივით განსაზღვრული ნორმები, ნაწილობრივას ასახულია 1990 წლის 29 მაისის საბჭოს 90/270/EEC დირექტივით განსაზღვრული ნორმები;

- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის № 457 დადგენილებით განისაზღვრა - სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე, სადაც სრულად ასახულია 1992 წლის 24 ივნისის საბჭოს 92/58/EEC დირექტივით განსაზღვრული ნორმები;
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №590 დადგენილებით განისაზღვრა - სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე, სადაც სრულად წარმოდგენილია 1989 წლის 30 ნოემბრის საბჭოს 89/656/EEC დირექტივით განსაზღვრული ნორმები.
- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 1 მაისის №167 დადგენილება - ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, სადაც სრულად წარმოდგენილია 1990 წლის 29 მაისის საბჭოს 90/269/EEC დირექტივით განსაზღვრული ნორმები;

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის კოდექსმა 2013 წლის მნიშვნელოვანი ცვლილების შემდგომ განაგრძო განვითარება ღირსეული შრომის სტანდარტების დამკვიდრების მიზნით და დღემდე მასში 20 ცვლილება განხორციელდა, მათ შორის, აღსანიშნავია 2020 წელს განხორციელებული ცვლილებების ტალღა, რომლის შედეგადაც საერთაშორისო შრომის სამართლისა (8 ევროდირექტივა) და დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის (6 ევროდირექტივა) იქნა ასახული. განხორციელებული ცვლილებების შედეგად:

- გაფართოვდა დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლები და შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების ჩამონათვალი;
- დარეგულირდა მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების მექანიზმი;
- დაზუსტდა სამუშაო ადგილზე სტაჟირებასთან დაკავშირებული საკითხები;
- განისაზღვრა სამუშაო დროის ორგანიზების მიზნით არასრული სამუშაო განაკვეთის ცნება და ასეთ სამუშაოზე დასაქმებული პირების გარანტიები, კერძოდ დამსაქმებლის ვალდებულება მიაწოდოს დასაქმებულებს ინფორმაცია დაწესებულებაში არსებული არასრული და სრული სამუშაო განაკვეთების შესახებ და ხელმისაწვდომი გახადოს დასაქმებულებისთვის არასრული სამუშაო განაკვეთიდან სრულ სამუშაო განაკვეთზე და პირიქით გადასვლა. ცვლილება, ასევე, შეეხო სამუშაო, შესვენების და დასვენების დროს, ზეგანაკვეთური სამუშაოს და მის ანაზღაურების წესს, ღამით მუშაობას და ღამის სამუშაოებზე დასაქმებული პირების პერიოდულ სამედიცინო ზედამხედველობას. შვებულებას ორსულობისა და მშობიარობის გამო და შვებულებას ბავშვის მოვლის გამო, ასევე, სამუშაო საათებში ორსულების სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებისა და ანაზღაურების საკითხებს. მასობრივი დათხოვნის პროცედურებსა და გათავისუფლებულ დასაქმებულთა რაოდენობის დაანგარიშების წესს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. საწარმოს გადაცემისას გადამცემი და მიმღები საწარმოს (დამსაქმებლის) ვალდებულებებს; დამსაქმებლის ვალდებულებებს სამუშაო ადგილზე დასაქმებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გამართვის თაობაზე; გაიწერა შესაბამისი პროცედურები (ინფორმაციის შინაარსი, ინფორმირების ვადები, მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით მხარეთა ვალდებულება დაიცვან კონფიდენციალურობა); განისაზღვრა შრომის კანონმდებლობის აღსრულებაზე სახელმწიფო საზედამხედველო ორგანო და დაწესდა სანქციები;

2. ასოცირების შეთანხმება და შრომითი ნორმების დახვეწის მიზნით ნაკისრი ვალდებულებების მიმოხილვა

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის (შემდგომში როგორც, ასოცირების შეთანხმება) აწესებს რიგ ვალდებულებებს ევროინტეგრაციის გზაზე მდგომი საქართველოსთვის, რომელსაც ხელი 2014 წელს მოეწერა. აღსანიშნავია, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 2008 წლის დეკლარაცია „სოციალური თანასწორობა სამართლიანი გლობალიზაციის შესახებ“ განსაზღვრავს ღირსეულ შრომას, რომლის შესაბამისადაც ასოცირების ხელშეკრულების N 227, 229, 231, 239, 348 მუხლები სწორედ, რომ აქცენტს ქვეყანაში ღირსეული შრომის კულტურის გაძლიერებაზე აკეთებს შრომის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. მათ შორის, 348-ე მუხლი ხაზს უსვამს მხარეებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გაძლიერებას ღირსეული შრომის პირობების (Decent Work Agenda), დასაქმების პოლიტიკის, სამუშაოზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, სოციალური დიალოგის, სოციალური დაცვის, სოციალური ჩართულობის, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის, ასევე, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშესაწყობად.

ასოცირების ხელშეკრულების „თანამშრომლობის სხვა სფეროები“-ს VI კარის, „დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები“-ს მე-14 თავის 354-ე მუხლის შესაბამისად XXX დანართით განსაზღვრულია: შრომის სამართალი 8 ევროდირექტივით; დისკრიმინაციის აკრძალვა და გენდერული თანასწორობა 6 ევროდირექტივით; ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე - 26 ევროდირექტივით.¹⁵

როგორც აღინიშნა, შრომის სამართლის 8 ევროდირექტივისა და დისკრიმინაციის აკრძალვისა და გენდერული თანასწორობის 6 ევროდირექტივის ასახვა შრომის კანონმდებლობაში განხორციელდა 2020 წელს შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. რაც შეეხება, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ევროდირექტივებს (ჯამში 26), სადაც წარმოდგენილია:

- ჩარჩო დირექტივა (89/391/EEC) და მინიმალური მოთხოვნების თაობაზე დირექტივა (89/654/EEC)
- 2 დირექტივა უშუალოდ გემებზე შრომის უსაფრთხოების ნორმებს არეგულირებს
- 2 დირექტივა უშუალოდ მინერალების მოპოვების მიზნით შრომის უსაფრთხოების ნორმებს არეგულირებს
- 8 დირექტივა ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური აგენტების მავნე ზემოქმედებას არეგულირებს
- 1 დირექტივა აზბესტის ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვას არეგულირებს
- 11 დირექტივა კი სექტორისა თუ საფრთხის შემცველი საქმიანობის/მოწყობილობების სპეციფიკის შესაბამისად განსაზღვრავს უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს.

¹⁵ ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, 30.8.2014: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)) [უ. გ. 12.03.2024].

გარდა ამისა, ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით ასახულია თითოეული ევროდირექტივის მიღების ვადები, რომლის იმპლემენტაციის მიზნისთვის ექსპერტული დასკვნების ანალიზის შესაბამისად მომზადებული ინფორმაცია ასახულია N1 ცხრილში:

ცხრილი N1

ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრული 26 დირექტივის მიღების ვადები და სტატუსის მიმოხილვა ¹⁶				
მიღების ვადა	დირექტივების რაოდენობა	დირექტივის თემატიკა	ევროდირექტივის დასახელება	მიღების სტატუსი
2018	1	გემებზე გაუმჯობესებული სამედიცინო მკურნალობა	1992 წლის 31 მარტის საბჭოს დირექტივა 92/29/EEC გემებზე გაუმჯობესებული სამედიცინო მკურნალობის მიზნით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ	დირექტივა სრულად არის ასახული
2019	2	ჩარჩო დირექტივა	1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ	დირექტივა სრულად არის ასახული
		მონიტორიან დანადგარებთან მუშაობა	1990 წლის 29 მაისის საბჭოს დირექტივა 90/270/EEC მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეხუთე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივა ნაწილობრივ არის ასახული
2021 (მოქმედი სამუშაო ადგილებისთვის)	2 ახალი და მოქმედი სამუშაო ადგილებისთვის)	სამუშაო ადგილზე მინიმალური მოთხოვნები	1989 წლის 30 ნოემბრის საბჭოს 89/654/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (პირველი ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის	დირექტივა ნაწილობრივ არის ასახული
		სამუშაო მოწყობილობები	2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/104/EC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისათვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (მეორე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1)	დირექტივის შესაბამისად მომზადებული პროექტი დამუშავებულ იქნა დამმობილების პროექტის ფარგლებში

¹⁶ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის წლიური საქმიანობის ანგარიშები (2021-2022).

			მუხლის კონტექსტში - 89/655/EEC დირექტივის კოდიფიკაცია, რომელიც შესწორდა 95/63/EC და 2001/45/EC დირექტივებით)	
2020	2 დირექტივა (გარდა ამისა, 2 ახალი და მოქმედი სამუშაო ადგილე- ბისთვის)	პერსონალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენება	1989 წლის 30 ნოემბრის საბჭოს დირექტივა 89/656/EEC სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ პერსონალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენებისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მესამე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივა ნაწილობრივ არის ასახული
		ნიშნების განთავსება	1992 წლის 24 ივნისის საბჭოს 92/58/EEC დირექტივა სამუშაოზე უსაფრთხოებასა და/ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მიზნით მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეცხრე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივა ნაწილობრივ არის ასახული
2022 (მოქმედი სამუშაო ადგილე- ბისთვის)		ბურღვის მეშვეობით მინერალების მოპოვება	1992 წლის 3 ნოემბრის საბჭოს დირექტივა 92/91/EEC ბურღვის მეშვეობით მინერალების მოპოვების ინდუსტრიებში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (მეთერთმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივის შესაბამისად მომზადებული პროექტი დამუშავებულ იქნა დამმობილების პროექტის ფარგლებში
2023 (მოქმედი სამუშაო ადგილე- ბისთვის)		ზედაპირზე და მიწის ქვეშ მინერალების მოპოვება	1992 წლის 3 დეკემბრის საბჭოს დირექტივა 92/104/EEC ზედაპირზე და მიწის ქვეშ მინერალების მოპოვების ინდუსტრიებში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე (მეთორმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივის შესაბამისად მომზადებული პროექტი დამუშავებულ იქნა დამმობილების პროექტის ფარგლებში
2021	2 დირექტივა (გარდა ამისა, 2 ახალი და მოქმედი სამუშაო ადგილების თვის)	დროებით ან მომრავ სამშენებლო უბნებზე	1992 წლის 24 ივნისის საბჭოს 92/57/EEC დირექტივა დროებით ან მომრავ სამშენებლო უბნებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების იმპლემენტაციის შესახებ (მერვე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივის შესაბამისად მომზადებული პროექტი დამუშავებულ იქნა დამმობილების პროექტის ფარგლებში

		ფიზიკური აგენტებისგან (ვიბრაცია) გამოწვეული პოტენციური რისკი	2002 წლის 25 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/44/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებისგან (ვიბრაცია) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეთექვსმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივის შესაბამისად მომზადებული პროექტი დამუშავებულ იქნა დამმობილების პროექტის ფარგლებში
2022	5 დირექტივა (გარდა ამისა, 1 მოქმედი სამუშაო ადგილებისთვის)	აზბესტის ზემოქმედება	2009 წლის 30 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2009/148/EC სამუშაოზე აზბესტის ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა დაცვის თაობაზე	დირექტივის შესაბამისად მომზადებული პროექტი დამუშავებულ იქნა დამმობილების პროექტის ფარგლებში
		ფეთქებადი ატმოსფერო	1999 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 1999/92/EC ფეთქებადი ატმოსფეროს გამო პოტენციური რისკის ქვეშ მყოფ მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეთხუთმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივის შესაბამისად მომზადებული პროექტი დამუშავებულ იქნა დამმობილების პროექტის ფარგლებში
		ფიზიკური აგენტებით (ხელოვნური ოპტიკური რადიაცია)	2006 წლის 5 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2006/25/EC მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ხელოვნური ოპტიკური რადიაცია) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეცხრამეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივის შესაბამისად მომზადებული პროექტი დამუშავებულ იქნა დამმობილების პროექტის ფარგლებში
		თევზჭერისთვის განკუთვნილი გემებზე	1993 წლის 23 ნოემბრის საბჭოს დირექტივა 93/103/EC თევზჭერისთვის განკუთვნილი გემებზე მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეცამეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივის შესაბამისად მომზადებული პროექტი დამუშავებულ იქნა დამმობილების პროექტის ფარგლებში

		ტვირთის ხელით აწევა	1990 წლის 29 მაისის საბჭოს 90/269/EEC დირექტივა ტვირთის ხელით აწევის დროს, მუშაკთა მიერ განსაკუთრებით ზურგის დაზიანების საფრთხის არსებობის პირობებში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მე-4 ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მუხლის 16(1) კონტექსტში)	დირექტივა სრულად არის ასახული
2023	10 დირექტივა (გარდა ამისა, 1 მოქმედი სამუშაო ადგილებისთვის)	კანცეროგენებისა და მუტაგენების ზემოქმედება	2004 წლის 29 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/37/EC დირექტივა სამუშაოზე კანცეროგენებისა და მუტაგენების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა დაცვის თაობაზე (მეექვსე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივა სრულად დაამუშავებასა და ტექნიკურ ექსპერტიზას
		ბიოლოგიური აგენტები	2000 წლის 18 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/54/EC დირექტივა სამუშაოზე ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა დაცვის თაობაზე (მეშვიდე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	
		ქიმიურ აგენტები	1998 წლის 7 აპრილის საბჭოს დირექტივა 98/24/EC სამუშაოზე ქიმიურ აგენტებთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (მეთოთხმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	
		ფიზიკური აგენტებით (ხმაური)	2003 წლის 6 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/10/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ხმაური) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეჩვიდმეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	
		ფიზიკური აგენტებით (ელექტრომაგნიტური ველი)	2004 წლის 29 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/40/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ელექტრომაგნიტური ველი) გამოწვეული პოტენციური რისკის	

			წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეთვრამეტე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)	
		ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედება	1991 წლის 29 მაისის ევროკომისიის 91/322/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური აგენტების ზემოქმედებით გამოწვეული რისკებისგან მუშაკთა დაცვის შესახებ საბჭოს 80/1107/EEC დირექტივის იმპლემენტაციის მეშვეობით ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების განსაზღვრის თაობაზე	
		ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების პირველი სია, სამუშაოზე ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული რისკები	2000 წლის 8 ივნისის ევროკომისიის 2000/39/EC დირექტივა, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების პირველი სია, სამუშაოზე ქიმიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის შესახებ საბჭოს 98/24/EC დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით	
		ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების	2006 წლის 7 თებერვლის ევროკომისიის დირექტივა 2006/15/EC, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების მეორე სია, საბჭოს 98/24/EC დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით	
		ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლები	2009 წლის 17 დეკემბრის ევროკომისიის დირექტივა 2009/161/EU, რომლითაც ფორმირდება დასაქმების სახეობის მიხედვით მავნე ზეგავლენის ზღვრული ინდიკატიური მაჩვენებლების მესამე სია, საბჭოს 98/24/EC დირექტივის იმპლემენტაციის მიზნით	
		ჰოსპიტალურ და ჯანდაცვის სექტორში ზასრი სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენება	2010 წლის 10 მაისის საბჭოს დირექტივა 2010/32/EU, რომელიც უზრუნველყოფს ევროპის ჰოსპიტალურ და ჯანდაცვის სფეროს დამსაქმებელთა ასოციაციის (HOSPEEM) და საჯარო სამსახურის კავშირების ევროპული ფედერაციის (EPSU) მიერ გაფორმებულ ჰოსპიტალურ და ჯანდაცვის	

			სექტორში ბასრი სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენებისას დაზიანებების თავიდან აცილების შესახებ ჩარჩო შეთანხმების იმპლემენტაციას	
--	--	--	---	--

ზემოხსენებული ცხრილიდან წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შესაბამისად 2023 წლის მდგომარეობით ირკვევა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში:

სრულად ასახულია შემდეგი 6 დირექტივა:

1. 1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ
2. 89/654/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე
3. 89/656/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ პერსონალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენებისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ
4. 92/58/EEC დირექტივა სამუშაოზე უსაფრთხოებასა და/ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მიზნით მინიმალური მოთხოვნების შესახებ
5. 90/269/EEC დირექტივა ტვირთის ხელით აწევის დროს, მუშაკთა მიერ განსაკუთრებით ზურგის დაზიანების საფრთხის არსებობის პირობებში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შესახებ
6. 92/29/EEC დირექტივა გაუმჯობესებული სამედიცინო მკურნალობის მიზნით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ

ნაწილობრივ ასახულია 2 დირექტივა:

1. 90/270/EEC დირექტივა მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ
2. 92/57/EEC დირექტივა დროებით ან მოძრავ სამშენებლო უბნებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების იმპლემენტაციის შესახებ

განსახილველად მზადაა 3 დირექტივა:

1. 2009/104/EC სამუშაო მოწყობილობების გამოყენებისათვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე
2. 92/91/EEC დირექტივა ბურღვის მეშვეობით მინერალების მოპოვების ინდუსტრიაში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე
3. 92/104/EEC დირექტივა ზედაპირზე და მიწის ქვეშ მინერალების მოპოვების ინდუსტრიაში მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სრულყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე

მომზადებულია პროექტი 5 დირექტივის შესაბამისად:

1. 2002/44/EC დირექტივა მუშაკთა ფიზიკური აგენტებისგან (ვიბრაცია) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ
2. 2006/25/EC მუშაკთა ფიზიკური აგენტებით (ხელოვნური ოპტიკური რადიაცია) გამოწვეული პოტენციური რისკის წინაშე დაყენებასთან დაკავშირებით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ
3. 2009/148/EC დირექტივა 2009/148/EC სამუშაოზე აზბესტის ზემოქმედებასთან დაკავშირებული რისკებისგან მუშაკთა დაცვის თაობაზე
4. 1999/92/EC დირექტივა ფეთქებადი ატმოსფეროს გამო პოტენციური რისკის ქვეშ მყოფ მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით მინიმალური მოთხოვნების შესახებ
5. 93/103/EC დირექტივა თევზჭერისთვის განკუთვნილი გემებზე მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ

2023 წელს მისაღები 10 დირექტივა კი სრულად საჭიროებს დამუშავებასა და ტექნიკურ ექსპერტიზას.

2.1 საქართველოს კანონმდებლობაში ასახული შრომის უსაფრთხოების დირექტივების მიმოხილვა

რაც შეეხება, ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართის შესაბამისად სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვით მიმართულებით განსაზღვრული დირექტივების საქართველოს კანონმდებლობაში ასახვის საკითხს, აღნიშნულის მიმოხილვა ასახულია N2 ცხრილში:

ცხრილი №2

საქართველოს კანონმდებლობაში ასახული შრომის უსაფრთხოების დირექტივები		
	ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ევროკავშირის კანონმდებლობა	კომენტარი ქართულ კანონმდებლობაში ასახვის თაობაზე
1	1989 წლის 12 ივნისის 89/391/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე მუშაკთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით ზომების შემოღების შესახებ	ჩარჩო დირექტივა ასახულია "შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში
2	1992 წლის 24 ივნისის საბჭოს 92/57/EEC დირექტივა დროებით ან მოძრავ სამშენებლო უბნებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების იმპლემენტაციის შესახებ (მერვე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივა ნაწილობრივ არის ასახული საქართველოს მთავრობის N477 დადგენილებაში. დამძობილების პროექტის ფარგლებში მომზადებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტი და შესაბამისობის ცხრილი
3	1992 წლის 31 მარტის საბჭოს დირექტივა 92/29/EEC გემებზე გაუმჯობესებული სამედიცინო მკურნალობის მიზნით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ	დირექტივა სრულად არის ასახული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის №5 ბრძანებაში „სახელმწიფო დროშის ქვეშ მოძრავ

საქართველოს კანონმდებლობაში ასახული შრომის უსაფრთხოების დირექტივები		
		გემებზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ. საქართველოს, მიღებულია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.
4	1990 წლის 29 მაისის საბჭოს დირექტივა 90/270/EEC მონიტორიან დანადგარებთან მუშაობისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეხუთე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივა ნაწილობრივ ასახულია ქართულ კანონმდებლობაში „სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 ივლისის №341 დადგენილებაში. (მუხლი 13)
5	1989 წლის 30 ნოემბრის საბჭოს 89/654/EEC დირექტივა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების თაობაზე	დირექტივა სრულად აისახა ქართულ კანონმდებლობაში „სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 ივლისის №341 დადგენილების სახით.
6	1989 წლის 30 ნოემბრის საბჭოს დირექტივა 89/656/EEC სამუშაო ადგილზე მუშაკთა მიერ პერსონალური დამცავი აღჭურვილობის გამოყენებისთვის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მესამე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივა სრულად აისახა ქართულ კანონმდებლობაში "ტექნიკური რეგლამენტის – სამუშაო სივრცეში ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის №590 დადგენილების სახით.
7	1992 წლის 24 ივნისის საბჭოს 92/58/EEC დირექტივა სამუშაოზე უსაფრთხოებასა და/ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მიზნით მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მეხუთე ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მე-16(1) მუხლის კონტექსტში)	დირექტივა სრულად აისახა ქართულ კანონმდებლობაში "ტექნიკური რეგლამენტის – სამუშაო სივრცეში უსაფრთხოების ან/და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ნიშნების განთავსების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 16 სექტემბრის №457 დადგენილების სახით
8	1990 წლის 29 მაისის საბჭოს 90/269/EEC დირექტივა ტვირთის ხელით აწევის დროს, მუშაკთა მიერ განსაკუთრებით ზურგის დაზიანების საფრთხის არსებობის პირობებში, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შესახებ (მე-4 ინდივიდუალური დირექტივა 89/391/EEC დირექტივის მუხლის 16(1) კონტექსტში)	დირექტივა სრულად არის ასახული საქართველოს მთავრობის №167 დადგენილებაში "ტვირთის ხელით აწევისას უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე"

აღნიშნულის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შრომის უსაფრთხოების მიმართულებით კანონმდებლობის დაახლოების მაჩვენებელი გაუტოლდა 31%-ს.

3. მიღწეული შედეგებისა და შრომის კანონმდებლობის აღსრულების გამოწვევების მიმოხილვა

ევროინტეგრაციის გზაზე შრომის სამართლის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოების თვალსაზრისით შესაძლოა გამოვყოთ შემდეგი მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯები:

- ასოცირების ხელშეკრულების XXX დანართით განსაზღვრულ შრომის უსაფრთხოების ევროდირექტივების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება, რომელიც 2023 წლის მდგომარეობით უტოლდება 31%-ს, ხოლო ჯამში ჰარმონიზების მიზნით მომზადებული შრომის უსაფრთხოების დირექტივების რაოდენობამ 62 %-ს;
- ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კვალდაკვალ აღსანიშნავია, რომ საქართველო დაუახლოვდა შრომის საერთაშორისო ნორმებს, კერძოდ კი, შრომის ინსპექციის შესახებ 81-ე კონვენციას, რომელიც ერთ-ერთი პრიორიტეტულ კონვენციათა შორისაა;
- 2022 წელს საწარმოო უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 2018 წელთან შედარებით, ანუ მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი, შემცირდა 41%-ით.

მიღწეული შედეგების მიუხედავად საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ქართული კანონმდებლობის ანალიზით, ქვეყანაში მოქმედი საზედამხედველო სისტემის ანგარიშების შეჯამებით ვლინდება შემდეგი გამოწვევები შრომის ნორმების აღსრულების მიმართულებით:

- შრომის უსაფრთხოების კულტურის ნაკლებობა;
- დამსაქმებელთა და დასაქმებულთა დაბალი ცნობიერება შრომით უფლებებსა და ვალდებულებებზე;
- არაფორმალური სექტორი, როგორც გლობალური გამოწვევა და შრომის ახალი ფორმები, როგორც გლობალური ეკონომიკის დინამიურობის ერთ-ერთი მახასიათებელი;
- ევროდირექტივების იმპლემენტაციის ვადების დარღვევები;

ასევე დღემდე გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანაში ტექნიკური და საინჟინრო თვალსაზრისით თანამედროვე პროფესიული კადრების ნაკლებობა, რაც შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის საჭიროებებზე მეტყველებს. აგრეთვე პრობლემას წარმოადგენს, მოძველებული საბჭოთა პერიოდის მანქანა დანადგარები, რომლებიც განსაკუთრებით ხშირია სამთომოპოვებით და მძიმე მრეწველობის სექტორში ოპერირებად ორგანიზაციებში¹⁷. სიტუაციას ართულებს ის გარემოება, რომ მათი წარმოებიდან სრულად ამოღება, მნიშვნელოვან ფინანსურ ფაქტორებთანაა დაკავშირებული. ცალკე გამოწვევად შეიძლება, ასავე, ჩაითვალოს არაფორმალური სექტორის სიდიდე¹⁸, სადაც შრომის პირობების დაცვის მექანიზმების უგულვებელყოფა პირდაპირ აისახება დასაქმებულთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

¹⁷ სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის წლიური საქმიანობის ანგარიშები (2021-2022).

¹⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, არაფორმალური დასაქმების მაჩვენებელი (2021-2023).

დასკვნა

ბოლო ათწლეულში ინტენსიურად მიმდინარეობს ევროპულ სამართალთან შრომის სამართლის ჰარმონიზების პროცესი, რომელსაც საფუძვლად საქართველოს მხრიდან აღებული საერთაშორისო ვალდებულებები უდევს, მათ შორის, აღსანიშნავია ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც შრომის პირობებზე საზედამხედველო სისტემა შეიქმნა, ეტაპობრივად იმპლემენტირებულ იქნა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ჩარჩო დირექტივები და ამ გზაზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად 2020 წელს საქართველოში განხორციელდა შრომის საკანონმდებლო სიახლეები და ცვლილებები, რომელმაც უმეტესწილად მოიცვა შრომის სამართალს მიკუთვნებული ყველა დირექტივის მოთხოვნა. გაუმჯობესდა შრომითი უფლებების საკანონმდებლო დონეზე დაცვისა და სათანადოდ აღსრულების გარანტიები შრომით ნორმებზე დამოუკიდებელი საზედამხედველო უწყების, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურის შექმნით.

აქვე აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ შრომით ურთიერთობებზე, მათ შორის, შრომის პირობებზე საზედამხედველო სისტემის შრომის საერთაშორისო ნორმებთან დაახლოებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს კანდიდატის სტატუსის მოპოვების პროცესში და გაამყარა ღირსეული შრომის ფუნდამენტური პრინციპების პრაქტიკულ დონეზე აღსრულების შესაძლებლობები.

განხორციელებული რეფორმის კვალდაკვალ აღსანიშნავია, რომ 2022 წელს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობის 41%-ით შემცირება 2018 წელთან შედარებით, ანუ მას შემდეგ რაც „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედდა ადასტურებს შრომის კანონმდებლობის ეფექტურად აღსრულების ფაქტს. ამასთან, მომეტებული საფრთხის შემცველი სამუშაო პროცესიდან გამომდინარე სამთო-მოპოვებით და სამშენებლო სექტორში გამოვლენილი რიგი შრომის უსაფრთხოების დარღვევები, იძლევა ანალიზის საფუძველს, რომ ხელისუფლებამ განსაზღვრულ ვადებში უნდა უზრუნველყოს დარჩენილი დირექტივების იმპლემენტირება, ასევე უნდა გააგრძელოს აქტიური პოლიტიკა პროაქტიული ღონისძიებების განხორციელების გზით, რომელიც უნდა იყოს მასშტაბური ეროვნულ დონეზე და მაქსიმალურად მოცვადი, როგორც დასაქმებულთა ასევე ბიზნესის წარმომადგენლების ჩართულობის კუთხით. აღნიშნული მიდგომებით მაქსიმალურად იქნება შესაძლებელი ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების კულტურის ამაღლება, რაც დადებითად აისახება ქვეყანაში როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ასევე ხელს შეუწყობს ბიზნესის მდგრად განვითარებას და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს.

ბიბლიოგრაფია

1. ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part, 30.8.2014: [https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830\(02\)](https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02)) [უკანასკნელად გადამოწმდა 12.03.2024];
2. COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, Brussels, 8.11.2023: https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 12.03.2024];
3. Jobelius, Matthias, Economic Liberalism in Georgia. A challenge for EU convergence and trade unions, 2011: <https://library.fes.de/pdf-files/id/08135.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 12.03.2024];
4. DCFTA implementation, Action plans and Annual Reports: <https://dcfta.gov.ge/en/implimentation> [უკანასკნელად გადამოწმდა 12.03.2024];
5. Shvelidze, Zakaria, Transition from Soviet to Liberal Law. Labour Standards in Georgia, 2012: https://adapt.it/contributions_6.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 12.03.2024];
6. შრომის ინსპექციის წლიური საქმიანობის ანგარიშები: <https://lio.moh.gov.ge/report.php?lang=1&id=2> [უკანასკნელად გადამოწმდა 12.03.2024];
7. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
8. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
9. „შრომის ინსპექციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
10. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“-ს 2017 წლამდე მოქმედი რედაქცია;
11. შველიძე, ზაქარია, თავი I, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017 წელი. https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/publication/wcms_627047.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 12.03.2024];
12. სანიკიძე, ზურაბ, საქართველოს შრომის კოდექსში 2013 წლის 4 ივლისს განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა, 2014: https://lawlibrary.info/ge/books/giz2014-ge-shromis_cvllilebebi.pdf [უკანასკნელად გადამოწმდა 12.03.2024];
13. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, არაფორმალური დასაქმების მაჩვენებელი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa> [უკანასკნელად გადამოწმდა 12.03.2024].

